

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“

2015-2019 წლების სტრატეგია

მომზადებულია  
პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ



ბათუმი-თბილისი  
2015

დოკუმენტი შემუშავებულია ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში



სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - CENN

ავსტრიის განვითარების სააგენტო

# სარჩევი

I. შესავალი.....	5
II. სამართლებრივი ბაზა და სტატუსი .....	6
III. სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა .....	9
IV. სატყეო სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები.....	12
V. რეგიონის სახელმწიფო ტყის ფონდი, სააგენტოს საოპერაციო პრიორიტეტები, შედეგები და ბიუჯეტი .....	15
VI. სააგენტოს თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებთან ჩატარებული განხილვებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და მოლოდინები .....	19
ა) ტყის მოვლა და აღდგენა .....	19
ბ) ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა.....	21
გ) ტყითსარგებლობის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა.....	21
დ) ტყეთმობილობა.....	24
ე) დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემუშავება .....	24
ვ) არამერქნული რესურსის გამოყენება .....	25
ზ) სამონადირეო მეურნეობების ჩამოყალიბება.....	25
თ) რეგიონის ტყეებში სარეკრეაციო ზონების მოწყობა .....	26
ი) საზოგადოების ჩართულობა და კომუნიკაცია.....	26
ი) სააგენტოს საქმიანობის მართვა და ადამიანური რესურსები.....	27
VII. აჭარის სატყეო სააგენტოს SWOT ანალიზი.....	29
VIII. აჭარის სატყეო სააგენტოს ხედვა და მისია.....	32
IX. სააგენტოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	33
სტრატეგიული მიზანი 1 - ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა, ტყის დაცვა და მოვლა .....	33
სტრატეგიული ამოცანა 1.1 - ტყის მართვის დაგეგმვა .....	33
სტრატეგიული ამოცანა 1.2 ტყის დაცვა ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, რაც შეამცირებს ტყის დეგრადაციის პროცესს და ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და დაცვითი ფუნქციების განხორციელება-გაძლიერებას .....	35
სტრატეგიული ამოცანა 1.3 - დეგრადირებული ტყეების აღდგენა, ტყით დაუფარავი ფართობების გაშენება და ტყის მოვლის ეფექტური სისტემის დანერგვა.....	36

სტრატეგიული მიზანი 2 - მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და სერვისების განვითარება .....	39
სტრატეგიული ამოცანა 2.1 - ტყის რესურსების მომხმარებელთათვის მომსახურების მიწოდების ეფექტიანი მოდელის შემუშავება .....	39
სტრატეგიული ამოცანა 2.2 - ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა სათანადო მომსახურების განვითარებით .....	40
სტრატეგიული მიზანი 3 - ცნობიერების ამაღლება და ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა .....	42
სტრატეგიული ამოცანა 3.1 - სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობისა და ტყის რესურსების მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება .....	42
სტრატეგიული ამოცანა 3.2 - სატყეო სექტორში განათლების ხელშეწყობა .....	43
სტრატეგიული მიზანი 4 - ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება .....	44
აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგიული ჩარჩო .....	49

DRAFT

## I. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ (შემდგომში ყველგან „სააგენტო“) ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავების პროექტის ფარგლებში. პროექტს ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG) ახორციელებს. აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგიის ამ ვერსიაში წარმოდგენილია პროექტის საწყის ეტაპზე ჩატარებული ინსტიტუციური შეფასებისა და დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების ანალიზის შედეგად გაკეთებული ძირითადი დასკვნები, ასევე, აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგიის ძირითადი ელემენტები - ხედვა, მისია, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

სააგენტოს ინსტიტუციური შეფასება და გარემოს ანალიზი შეფასება განხორციელდა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების კაბინეტური შესწავლის, სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელებისა და საშუალო რგოლის მენეჯერებთან, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და ფოკუს-ჯგუფების ჩატარების მეშვეობით. საბაზისო კვლევაში ჩართულნი იყვნენ როგორც რეგიონული და სახელმწიფო უწყებებისა და თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ სატყეო სექტორში გარკვეული ინიციატივების განხორციელებას და სარგებლობენ ან დაინტერესებულნი არიან სააგენტოს საქმიანობებით ან მის მიერ შემოთავაზებული მომსახურებით.

ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა უნივერსალური პრაქტიკაა, რაც მიზნად ისახავს პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და მომხმარებლებისათვის შესაძლებლობის მიცემას, ჩაერთონ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში. პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპზე, რაც ორგანიზაციული სტრატეგიის მონახაზისა და პროექტის შედგენას ისახავდა ამოცანად, სააგენტომ განაგრძო დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები და შეძლებისდაგვარად ასახა მათგან მიღებულ უკუკავშირი სტრატეგიასა და მის შესაბამის საოპერაციო (სამოქმედო) გეგმაში.

ორგანიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის შედგენის უმთავრესი მიზანია, ორგანიზაციამ მიიღოს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებები რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით და განსაზღვროს ის საშუალოვადიანი პროგრამები, რომლებიც სახელმწიფო/რეგიონული ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს. თუმცა, აუცილებელია დონორებთან მუშაობის ინტენსიფიკაცია და ცალკეული, შედეგზე ორიენტირებული პროექტების შედგენა-განხორციელება, რათა ის საკითხები, რომლებიც აჭარის სატყეო სააგენტოს ან აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს კომპეტენციაში არ ექცევა (მაგ., მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატული ჩარჩოს გაუმჯობესება), ასე თუ ისე, მოცული იყოს ორგანიზაციის საქმიანობით, რაც უმთავრესად დარგში მოქმედი სხვადასხვა სახელმწიფო და რეგიონული უწყების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების ურთიერთთანამშრომლობისა და ქსელური მუშაობის ხელშეწყობით ან ფასილიტაციით უნდა განხორციელდეს.

## II. სამართლებრივი ბაზა და სტატუსი

„აჭარის სატყეო სააგენტო“ თავისი სამართლებრივი სტატუსით საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №55 დადგენილებით შეიქმნა. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა აჭარის სატყეო სააგენტოს დებულება, რომლის მიხედვითაც აჭარის სატყეო სააგენტო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

სააგენტოს საქმიანობა რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით:

- **საკანონმდებლო აქტები**
  - საქართველოს კონსტიტუცია
  - აჭარის ა/რ კონსტიტუცია
  - საქართველოს ტყის კოდექსი
  - საქართველოს კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ
  - საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ
  - საქართველოს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ
  - საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ
  - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- **მთავრობის დადგენილებები**
  - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის დადგენილება №46 საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
  - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს დადგენილება N241 ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ
  - საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილება N 242 ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ
  - საქართველოს მთავრობის დადგენილება N 136
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №53 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №55 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N 54 დადგენილება „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის შესახებ“
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის ბრძანება №118 „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

ამას გარდა, აჭარის სატყეო სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა უფლება მოვალეობები დამტკიცებულია სააგენტოს უფროსის 2013 წლის 22 ივლისის ბრძანებით.

აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს ორი ძირითადი მიზანი გააჩნია: (ა) ტყის დაცვა, მოვლა და აღდგენა და (ბ) ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება.

დებულების მიხედვით, სააგენტოს ძირითადი ამოცანებია:

- ა) ტყის ფონდის საზღვრების დადგენა-დაზუსტების ხელშეწყობა;
- ბ) ტყის ფონდის მართვა;
- გ) ტყის სარგებლობის რეგულირება;
- დ) ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;
- ე) ტყის ფონდის ტერიტორიის კონტროლი.

საგულისხმოა, რომ აჭარის სატყეო სააგენტოს მიზნები და ამოცანები იდენტურია ეროვნული სატყეო სააგენტოს მიზნებისა და ამოცანებისა. ანალოგიურად, დამტკიცებული დებულებების მიხედვით, აჭარისა და ეროვნულ სატყეო სააგენტოებს ერთმანეთის მსგავსი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ, ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტყის მოვლა-პატრონობას სრულად და ავტონომიურად აჭარის სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს თავისი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსებით. თუმცა, საწყის ეტაპზე ჩატარებულმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ ორ სააგენტოს შორის რეგულარულად ხდება ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

დებულების მიხედვით, აჭარის სატყეო სააგენტოს კომპეტენცია მოიცავს:

- ტყის ფონდის საზღვრების დადგენა-დაზუსტების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას
- ტყის ფონდის მონიტორინგისა და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნას
- ტყის ფონდის აღრიცხვასა და დაგეგმვას
- ტყის ფონდის დაყოფას სატყეო უბნად, სატყეოდ, კვარტალად, ლიტერად
- ტყის ფონდის დაყოფას სამცველოებად
- ტყის მოვლასა და აღდგენას და ამ მიზნით მოვლითი ჭრების განხორციელებას

- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობას
- ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვას, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში – მის სალიკვიდაციოდ შესაბამისი ზომების მიღებასა და საფრთხის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებას სათანადო ორგანოებისათვის
- ენტომომავნებლებისა და ფიტოდაავადებებისაგან ტყის დაცვას
- ტყის დაცვას უკანონო ჭრებისაგან
- ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთის გაცემას
- ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემას
- ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის (გარდა გადამფრენი ფრინველისა) მოპოვების შესახებ დოკუმენტის გაცემას
- სალიცენზიო ობიექტის მომზადებას
- ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას
- დადგენილი წესით ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემას ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირებას<sup>1</sup>
- ტყეკაფის მონიშვნასა და გამოყოფას
- ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელის მიერ გამოყოფილი ტყეკაფის შეთანხმებას
- მეთესლეობის საქმის ორგანიზაციას, სანერგეების მოწყობას, ტყის კულტურების გაშენებას, სარგავი მასალის გამოყვანასა და მათ რეალიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად
- სატყეო დარგის შემდგომი განვითარებისათვის სამართლებრივი, ნორმატიულ-მეთოდური და ეკონომიკური ბაზის შექმნაში მონაწილეობას
- სატყეო დარგის მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო თავისი სამართლებრივი სტატუსით დამოუკიდებელი იურიდიული პირია, სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ახორციელებს, რომელსაც დებულების მიხედვით გააჩნია უფლებამოსილება, შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება. სამმართველოს სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სააგენტოს გადაწყვეტილებებისა და საოპერაციო თუ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის ზედამხედველობასა და უზრუნველყოფას. ამასთან, სააგენტო ვალდებულია რიგი გადაწყვეტილებები (მათ შორის, უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა, საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების განსაზღვრა) შეათანხმოს სამმართველოსთან.

<sup>1</sup> ამჟამად აჭარაში მხოლოდ ე.წ. „სოციალური“ ჭრები მიმდინარეობს და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს ან სერტიფიკატს სააგენტო ფაქტობრივად არ გასცემს.



### III. სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც სამმართველოს უფროსის წარდგინებით, მთავრობის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამმართველოს უფროსის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.

სააგენტოს უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთაც სამმართველოს უფროსის წარდგინებით, სააგენტოს უფროსის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სამმართველოს უფროსის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.

სააგენტოს აპარატი ხუთი სტრუქტურული ქვე-დანაყოფისაგან შედგება:


- (1) ტყის მონიტორინგის სამსახური;
- (2) ტყის მართვის სამსახური;
- (3) ეკონომიკური სამსახური;
- (4) ადმინისტრაციული სამსახური;
- (5) ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური.

თითოეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე. სამი სტრუქტურული ქვე-დანაყოფი - ტყის მონიტორინგის სამსახური, ტყის მართვის სამსახური და ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური ძირითადი, სახაზო ფუნქციების მატარებელი სტრუქტურული ერთეულებია, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული და ეკონომიკური სამსახურები სააგენტოს საქმიანობის ორგანიზაციულ, ლოჯისტიკურ, ფინანსურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ.


ამას გარდა, სააგენტოს სისტემის ნაწილია ხუთი ტერიტორიული ადმინისტრაცია, რომლებიც თითოეულ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხულო, შუახევი, ხელვაჩაური, ქედა) ტყის მოვლა-პატრონობისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფენ. თითოეულ ტერიტორიულ ადმინისტრაციაში შედის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები - სატყეოები (17 ერთეული).

ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს და მართავს დირექტორი, რომელსაც აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი. სააგენტოს უფროსი თანამდებობაზე ადმინისტრაციის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილეს (მთავარ მეტყევეს) და სატყეოს უფროსს, ასევე, ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამშრომლებს მეტყევე-სპეციალისტებსა და ტყის მცველებს.

დიაგრამა 1. აჭარის სატყეო სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა



დიაგრამა N2. აჭარის სატყეო სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციები და სატყეოები



#### IV. სატყეო სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები

ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე რამდენიმე სახელმწიფო და რეგიონული უწყება მუშაობს. ამასთან დარგის სპეციფიკისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, ტყის მართვის საკითხებთან კვეთა ან უშუალო შეხება მთელ რიგ სახელმწიფო და რეგიონულ უწყებებს გააჩნიათ, რომლებიც თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებენ დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო და რეგიონულ დარგობრივ პოლიტიკას, მათ შორის, ფინანსებისა და გადასახადების, საკომუნიაციო ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკის, ტურიზმის, განათლების, გარემოს დაცვის, ასევე, სხვა საკვანძო სფეროებში, უშუალო ზეგავლენა აქვს ქვეყანაში ან მის ცალკეულ რეგიონში სატყეო სექტორის განვითარებაზე.

ქვეყანაში დარგობრივი პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 11 დეკემბერს დამტკიცებული საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციით, რომლის შემუშავებაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და აჭარის სატყეო სააგენტოც იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ ხელისუფლებას გააჩნია კომპეტენცია თავისი ხედვითი, კონცეპტუალური დოკუმენტი შეიმუშაოს ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე, სამმართველოსა და სააგენტოს წარმომადგენლები, ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავების პროცესში სახელმძღვანელო დოკუმენტად პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კონცეფციას მიიჩნევენ, რაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობების თავსებადობისა და კოორდინირების თვალსაზრისით. პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპზე - სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის დროს სააგენტო სწორებას ეროვნული სატყეო კონცეფციით განსაზღვრულ პრიორიტეტებზე გააკეთებს და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებებს, მოდელსა თუ სცენარებს ეროვნულ კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს.

როგორც კონცეფციაშია აღიშნული, კონცეფციის მიზანს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას და ტყის მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობას და მისი ინფორმირებულობის გაზრდას უზრუნველყოფას.

ეროვნული კონცეფცია სატყეო სექტორში არსებული პრობლემების ხუთ ძირითად კატეგორიას გამოჰყოფს:

- არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა, ტყის მართვის სუსტი ინსტიტუციები და კანონის არასათანადო აღსრულება
- ტყის ფასეულობების არასათანადოდ გათვალისწინება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- სიღარიბის დონე
- საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე

- სატყეო სექტორის არასაკმარისი დაფინანსება

ეს პრობლემები დეტალურად განიხილეს სტრატეგიის შედგენის საწყის ეტაპზე სააგენტოს წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული შეხვედრებისა და დისკუსიების დროს. ამას გარდა, გამოვლინდა რიგი სხვა საჭიროებები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ტყის დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის. რეგიონის სატყეო სექტორში არსებული პრობლემური საკითხების ფართო სპექტრი ქვემოთ არის განხილული.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად კონცეფცია რამდენიმე პრიორიტეტსა და მათ შესასრულებლად განსაზოვრციელებელ ქმედებებს განსაზღვრავს. პრიორიტეტები მრავალფეროვანია, ამასთან, მათი ყველაზე მშენელოვანი ნაწილი სატყეო სექტორის მართვაში განსხვავებული, ახლებური მიდგომების დანერგვას ითვალისწინებს. კონცეფცია პრიორიტეტად აღიარებს დეგრადირებული ტყეების აღდგენასა და ტყით დაუფარავი ფართობების გაშენებას, ასევე, ტყით სარგებლობის ეფექტური წესების შემუშავებას, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი და საგრძნობლად გაზარდოს ტყისგან მიღებული სარგებელი.

სატყეო სექტორის დარგობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებაა, რაც კონცეფციის მიხედვით ტყეების ინვენტარიზაციისა და ტყეებისათვის მათი ფასეულობებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით კატეგორიების მინიჭებით უნდა განხორციელდეს. საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და განხილვების დროს ტყითმოწყობისა და ზონირების საკითხებზე ძალიან დიდ ყურადღება გამახვლდა.

ეროვნული კონცეფციით განსაზღვრული სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები მოიცავს:

- კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაციას
- მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმირებას, სატყეო სექტორის ადმინისტრირების არსებული სისტემის გაუმჯობესებას და დარგში მოქმედი უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას, საიმისოდ, რომ სატყეო სექტორში მოქმედმა უწყებებმა შეძლონ სატყეო მეურნეობის წარმოება, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, სამონადირეო მეურნეობის წარმოება, ტყის რესურსების რეალიზაცია, ტურისტული და სხვა სახის მომსახურების გაწევა
- სატყეო სექტორში დასაქმებულთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას
- ტყეების მნიშვნელობისა და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას
- სატყეო სექტორის მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული სატყეო კონცეფცია ქვეყანაში სატყეო სექტორის განვითარების მხოლოდ ზოგად ჩარჩოს განსაზღვრავს და არ აკონკრეტებს სტრატეგიული თუ სამოქმედო პრიორიტეტების განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს, იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებსა და აუცილებელ ფინანსურ, ადამიანურ თუ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, შეფასების ინდიკატორებს

და სხვა მნიშვნელოვან ელემენტებს, რაც ინსტიტუციური სტრატეგიისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად, დარგში მოქმედმა დაწესებულებებმა, მათ შორის, აჭარის სატყეო სააგენტომ, ეროვნული კონცეფციის მოთხოვნები სათანადოდ უნდა ასახონ თავის საშუალოვადიან სტრატეგიებსა თუ საოპერაციო გეგმებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დარგობრივი სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებს, საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას მოუწევთ კრიტიკული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება კონცეფციით განსაზღვრული პრიორიტეტების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

კონცეფციის განხორციელება ახალი დარგობრივი პოლიტიკის, მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს, სატყეო კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და ამოქმედებას მოითხოვს. საბოლოო ჯამში რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა სახე ექნება დარგობრივ სახელმწიფო პოლიტიკას ახალი კანონმდებლობის შემუშავებისა და ძალაში შესვლის შემდეგ და რამდენად იქნება იგი თანმხვედრი იმ პრიორიტეტებთან, რასაც ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს, თუმცა, პარლამენტმა კონცეფციის დამტკიცებით უკვე გამოთქვა თავისი პოლიტიკური ნება სექტორის ძირეულ რეფორმირებაზე. როგორც სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელები აღნიშნავენ, აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგია დიდწილად (თუმცა, არა სრულად) მომავალზე ორიენტირებული ხედვითი დოკუმენტი იქნება, რაც დაეხმარება ორგანიზაციას მოემზადოს იმ ფუნდამენტური ცვლილებებისათვის, რომლსაც ეროვნული კონცეფცია ითვალისწინებს. სააგენტოს ინსტიტუციური სტრატეგია ასევე სასარგებლო იქნება იმ ჯგუფისათვის, რომელიც საერთაშორისო ექსპერტის ხელმძღვანელობით ახალ ტყის კოდექსსა და შესაბამის საკანონმდებლო პაკეტზე იმუშავებს 2015 წლის განმავლობაში. კერძოდ, სააგენტოს სტრატეგია თვალსაჩინოს გახდის იმ ორგანიზაციულ ცვლილებებსა და რეფორმებს, რომლებთან გამკლავებაც შესაბამის სახელმწიფო თუ რეგიონულ უწყებებს მოუწევთ თავისი საქმიანობის ახალ დარგობრივ პრიორიტეტებთან მისადაგების თვალსაზრისით.

## V. რეგიონის სახელმწიფო ტყის ფონდი, სააგენტოს საოპერაციო პრიორიტეტები, შედეგები და ბიუჯეტი

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ბალანსი

აჭარის სამეურნეო ტყის ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის 2005 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლის ტერიტორია 290000 ჰა-ს შეადგენს, ტყის ფონდის ფართობი 192488 ჰექტარია, რაც მთელი ტერიტორიის 66 პროცენტია. ამ ფართობიდან რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოს გამგებლობაში შედის 162103,7 ჰა, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალს ეკუთვნის 13693 ჰა, ქობულეთის ნაკრძალს 770 ჰა, ხოლო მტირალას ეროვნულ პარკს - 15807 ჰა.

ტყეებით დაკავებული ძირითადი ფართობების ფუნქციონალური განაწილება შემდეგნაირია:

- ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი - 128 070 ჰა (67%)
- წყლის ობიექტების ნაპირდამცავი ზოლები - 5 869 ჰა (3%)
- სუბალპური ტყეები - 7 084 ჰა (4%)
- დასახლებული პუნქტების მიმდებარე დაცვითი ტყის უბნები - 12 422 ჰა (6%)
- სასმელი წყლის წყალშემკრები აუზების ზონები - 1 991 ჰა (1%)
- მწვანე ზონის ტყეები - 6 668 ჰა (3%)

ტყის საერთო ფონდში შედის სასოფლო და სამეურნეო დანიშნულების შემდეგი მიწები: ბუნებრივი ტყე - 187 849 ჰა; ხელოვნური ტყე - 796 ჰა; ნახანძრალეები და დაღუპული კორომები - 59 ჰა; მინდვრები და სატყეო სამეურნეო - 626 ჰა; სახნავები - 51 ჰა; სათიბები - 59 ჰა; საძოვრები - 1 281 ჰა; ბაღები, ვენახები და სხვ - 18 ჰა. დანარჩენი 865 ჰა დაკავებულია დასახლებებით, რიყეებით, ჭაობებით, კლდეებით, სხვა გამოუყენებელი მიწებით.

რეგიონის ტყის ფონდის ფართობი 192488 ჰა-ს შეადგენს, სადაც შედის დაცული ტერიტორიები და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მართვაში არსებული ტყეები.

### რეგიონის ტყის რესურსები

2015 წლისთვის აჭარის სატყეო სააგენტოში სატყეო უბნების რაოდენობა 16 ერთეულს შეადგენს, ხოლო ტყეების ფართობები – 162103.6 ჰა-ს, რომელშიც შედის მაჭახელას ეროვნულ პარკზე 2014 წლის ბოლოს გადაცემული 8733 ჰა ტყის ფართობი და საქართველოს მთავრობის მიერ სატყეო ფართობებიდან ამორიცხული ტყით დაუფარავი ფართობები. წინამდებარე სტრატეგიის შედგენის დროს მიმდინარეობდა სატყეო სააგენტოს სატყეო ფართობების დაზუსტება. ასევე, ბოლო წლების განმავლობაში არ ჩატარებულა ტყის ინვენტარიზაცია, რის გამოც სააგენტოს გამგებლობაში არსებული ტყის ფართობები და მარაგები არ არის ზუსტად დადგენილი.

2011-2014 წლების საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ სოციალური ჭრებით ასათვისებლად ყოველწლიურად საშუალოდ 114569 მ3 ხე-ტყის გამოჰყოფს (I ხარისხის – 10392 მ3; II ხარისხის – 104177მ3). საშუალოდ ყოველწლიურად ხდება 76777 მ3 ათვისება (I ხარისხის – 5313 მ3; II ხარისხის – 71464 მ3). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქ. ქობულეთის მოსახლეობა სარგებლობს ბუნებრივი აირით და ასევე მეზობელი გურიის რეგიონიდან შემოტანილი შეშით, ხოლო

ხულოს მუნიციპალიტეტის დიოკნისის, დეკანაშვილების, ვაშლოვანის, რიყეთის, დიდაჭარის თემებისა და დაბა ხულოს მოსახლეობა და ქობულეთის მოსახლეობის ნაწილი ძირითადად სარგებლობს მიმდებარე რეგიონებიდან-ადიგენიდან და გურიიდან შემოტანილი ხე-ტყით.

რაც შეეხება აჭარის ტყეების სანიტარულ-ეკოლოგიურ მდგომარეობას, რეგიონში ტყის ძირითადი მავნებლებია: წაბლის ენდოტიური კიბო, ნაღმისებრი ჩრჩილი, მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი, ნაძვის დიდი ლაფანჭამია, მბეჭდავი ქერქიჭამია და კენწეროს ქერქიჭამია. სულ დაავადებული ტყის ფართობი 2012 წლისთვის შეადგენდა 11788 ჰექტარს, რაც აჭარის ტყეების მთლიანი ფართობის 7,2 პროცენტია. მიუხედავად დაავადებების გავრცელების არეალის შედარებით მცირე მასშტაბისა, მდგომარეობა საშიშად იქნა მიჩნეული, რადგანაც დაავადებები გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით და გააჩნიათ გავრცელების მრავალი კერა, სადაც ტყის მასივების 70-80% დაავადებულია.

2014 წლამდე გარემოს დაცვის სამმართველოსა და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ გამგებლობაში არსებული ტყეების სტრუქტურა:

- ბუნებრივი ტყე - 187 849 ჰა;
- ხელოვნური ტყე - 796 ჰა;
- ნახანძრალეები და დაღუპული კორომები - 59 ჰა;
- მინდვრები და სხვა სატყეო მიწები- 626 ჰა;
- სხვა მიწები: სახნავები - 51 ჰა; სათიბები - 59 ჰა; საძოვრები - 1 281 ჰა; ბაღები, ვენახები და სხვ - 18 ჰა.

აჭარის ტყის მერქნიანი სახეობები				
	ფართობი ჰა	მარაგი მ3	ფართობი %	მარაგი %
სულ	159829	42243300		
მათ შორის,				
სოჭი	19213	8406000	12,02%	19,90%
ნაძვი	24321	7997400	15,22%	18,93%
ფიჭვი	1587	298500	0,99%	0,71%
კრიპტომერია	116	18700	0,07%	0,04%
წიფელი	64697	18604900	40,48%	44,04%
მუხა	6804	715100	4,26%	1,69%
რცხილა, ჯაგრცხილა	5576	786000	3,49%	1,86%
წაბლი, კაკალი	20301	4202000	12,70%	9,95%
ნეკერჩხ., იფანი, თელა	31	8200	0,02%	0,02%
თხმელა	9794	1060400	6,13%	2,51%
ვერხვი, ტირიფი	217	14200	0,14%	0,03%
ხე-ტიტა	35	6600	0,02%	0,02%



ცაცხვი	104	13400	0,07%	0,03%
აკაცია, გლეგიჩია	64	9300	0,04%	0,02%
ხურმა	51	4300	0,03%	0,01%
ბზა, ევკალიპტი	106	11700	0,07%	0,03%
ბუჩქნარი	6812	86600	4,26%	0,21%

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს სამოქმედო პროორიტეტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა იყო.

2013-2014 წლებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს საოპერაციო პროორიტეტები მოიცავდა:

**(ა) დეგრადირებული სუბალპური ტყის ბუნებრივი განახლების პროცესის ხელშეწყობას:** შემოიღობა 133 ჰექტარი ფართობი ბუნებრივი განახლების ხელშესაწყობად. მომდევნო 4 წელიწადში სააგენტო გეგმავს ყოველწლიურად 100 ჰექტარი დეგრადირებული სუბალპური ტყის ფართობის შემოღობვას და ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული ეროზირებული და ეროზიის საფრთხის წინაშე მყოფი ტყის ფართობების გაჯანსაღებას.

**(ბ) ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, ტყის კორომების გაჯანსაღებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას:** 2014 წლის დასაწყისში სააგენტოში შეიქმნა ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის სპეციალური სამსახური, ხოლო შესაბამისი ლაბორატორია საჭირო ტექნიკით აღიჭურვა. გასულ წელს წიწვოვანი კორომების სანიტარული მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით ხულოს (2640 ცალი), შუახევის (2610 ცალი) და ქობულეთის (750 ცალი) წიწვოვანი ტყის კორომებში მავნებლების მჭკდავი ქერქიჭამიასა (*Ips typographus*) და კენწეროს ქერქიჭამიას (*Ips acuminatus*) წინააღმდეგ განთავსებული იქნა 6000 ათასი ცალი მწერსაჭერი (ხაფანგი) ფერომონთან ერთად. ამას გარდა, სააგენტოს მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის სამსახურის ლაბორატორიაში გამოყვანილი იქნა სასარგებლო მწერები: ნამვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ - რიზოფაგუსი (*Rhizophagus grandis*) და მჭკდავი ქერქიჭამიასა და კენწეროს ქერქიჭამიას წინააღმდეგ - ფორმიკარიუსი (*Thanasimus formicarius*), რომელიც ჩაასახლეს აღნიშნული მავნებლებით დასახლებულ ნამენარ-სოჭნარ კორომებში. სააგენტო კვლავაც აგრძელებს მუშაობას ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ სასარგებლო მწერის (ენტომოფაგის) კალოსომას (*Calosoma sycophanta*) გამოსაყვანად.

**(გ) სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მოსახლეობისათვის ტყით სარგებლობის გასაუმჯობესებლად:** 2013 წლამდე სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ახალი სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია აწარმოებდა. 2013 წელს ორი ათეული წლის შემდეგ პირველად, სააგენტომ შეიძინა 5 ერთეული სპეციალური ტექნიკა (ბულდოზერი), რომლის საშუალებითაც 2014 წლის თებერვლიდან დაიწყო ახალი სატყეო გზების მშენებლობა. გასული წლის განმავლობაში სააგენტომ გაიყვანა

6 კმ ახალი გზა და მოახდინა 30 კმ-ზე მეტი არსებული გზის რეაბილიტაცია, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყოფილი ტყეკაფებიდან ხე-ტყის დროულ და ეფექტურ ათვისებას. ამასთან, სააგენტოს მიერ საკუთარი სპეცტექნიკის გამოყენების შედეგად ფაქტობრივად განახევრდა ახალი სატყეო-სამეურნეო გზის გაყვანის ხარჯები.

**(დ) ენერგეტიკული ტყის პლანტაციის გაშენება:** ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგიონში არსებულ ტყეებზე დატვრთვის შესამცირებლად სააგენტომ უზრუნველყო ხელოვნურად სწრაფმზარდი ჯიშის ვერხვის სახეობის გაშენება. ენერგეტიკული ტყე გაშენდა 12 ჰა ფართობზე. ამას გარდა, სააგენტომ შექმნა სანერგე მეურნეობა, რომლის ეფექტური გამოყენება იგეგმება დეგრადირებული ტყეების აღდგენის პროცესში.

### **ბიუჯეტი**

2014 წელს აჭარის სატყეო სააგენტოს ბიუჯეტი 3,964,527 ლარით განისაზღვრა, აქედან 3,502,305 ლარი სახელმწიფო/რეგიონული ბიუჯეტით იყო გამოყოფილი, ხოლო 462,222 ლარი არასაბიუჯეტო შემოსავლებს წარმოადგენდა.

## VI. სააგენტოს თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებთან ჩატარებული განხილვებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და მოლოდინები

### ა) ტყის მოვლა და აღდგენა

ტყეების დეგრადაცია რეგიონის სატყეო სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის, თავად სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მენეჯერები აღნიშნავენ დეგრადირებული ტყის განახლების ღონისძიებების ნაკლებობას. ამასთან, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი მოვლენები (ხანგრძლივი გვალვები, შემდგომ უცებ მოვარდნილი ნალექები წვიმის სახით) კიდევ უფრო აუარესებს მეჩხერი ტყეების მდგომარეობას, რეგიონის ტყის კორომებში ინტენსიურად ვითარდება ეროზიული და მეწყერული პროცესები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტყის მოვლა-აღდგენის მიმართულებით, რეგიონი საკმარის ინვესტიციას ვერ დებს ტყის განახლებასა და დეგრადირებული ტყის ფართობების აღდგენაში, რასაც ასევე ემატება ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებებით 2010-2011 წლებში ტყის ფონდიდან ამორიცხა 20000 ჰექტარზე მეტი სატყეო ფართობი, რომელიც ძირითადად მოიცავს დეგრადირებულ, მეჩხერ და ტყით დაუფარავ ფართობებს. თავად სატყეო სააგენტოს თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ამჟამად რეგიონში არსებული ტყეების დაახლოებით 60% დეგრადირებულია ან დეგრადაციას განიცდის, ხოლო ტყის მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგული აქვს ბუნებრივი თვით-აღდგენის უნარი. ამდენად, ხელოვნური ჩარევა აუცილებელია. ტყის ბუნებრივი განახლების ხელშესაწყობად სააგენტო უზრუნველყოფს რამდენიმე ხარჯთეფექტიანი და საიმედო ინიციატივის განხორციელებას (მაგ, აჩიქვანა, შეღობვა).

ამჟამად სააგენტოს სანერგე მეურნეობა წელიწადში დაახლოებით 25000 ნერგს აწარმოებს, რომლის განაწილებაც სატყეო ადმინისტრაციებში ხდება, მაგრამ საერთო შეფასებით ეს საკმარისი არ არის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო ორი წლის განმავლობაში სააგენტომ უზრუნველყო 12 ჰექტარზე ენერგეტიკული ტყეების გაშენება, რომელმაც საშუალოვადიან პერსპექტივაში ნაწილობრივ მაინც უნდა უზრუნველყოს ბუნებრივ ტყეებზე დატვირთვის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოსა და სამმართველოს მენეჯერები თავიდან უფრო დიდ ფართობზე გეგმავდნენ სწრაფმზარდი ჯიშის კულტურის გამოყენებით ენერგეტიკული ტყეების გაშენებას, ტყით დაუფარავი ფართობების ტყის ფონდიდან ამორიცხვის შემდეგ ტერიტორიის სიმცირის გამო სააგენტომ ვერ შეძლო მეტის გაკეთება.

ტყის დეგრადირებული ნაკვეთების ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით სააგენტომ 2013-14 წლებში შემოღობა, გაწმინდა და აჩიქვანა 133 ჰა სუბალპური ზონის ტყის ფართობები. ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება იგეგმება მომდევნო 3 წელიწადში ყოველწლიურად 100 ჰექტარ ფართობზე. თუმცა, დაგეგმილი ღონისძიებები რეგიონში დეგრადირებული ტყის საერთო ფართობთან შეფარდებით დიდი არ არის. ასევე, მიზანშეწონილია საჭიროა ტყის ფონდიდან ამორიცხულ დეგრადირებულ მეჩხერ ტყის უბნებში ანალოგიური სამუშაოების ჩატარება.

ტყის ბუნებრივი განახლების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება გადაძოვებაა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, რეგიონი, განსაკუთრებით კი მისი სუბალპური ზონები გადატვირთულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით. ამდენად, აუცილებელია ჯიშთგანახლების ინიციატივების დაგეგმა-განხორციელება, რაც შესაბამისი კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს. ასევე, მნიშვნელოვანია საძოვრების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება. ზოგადად, ჯიშთგანახლება სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეროგატივაში ექცევა, თუმცა, ამ ინიციატივას უშუალო ზეგავლენა ექნება სატყეო სექტორის მდგომარეობაზეც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონში ჯიშთგანახლების რამდენიმე საპილოტე პროექტი განხორციელდა, თუმცა, მათი ნაწილი წარუმატებელი იყო. ამაჟამად აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ მეშვეობით უზრუნველყოფს ჯიშთგანახლების მომსახურების შეთავაზებას ადგილობრივი ფერმერებისათვის. პროექტის შედეგებისა და მისი ფინანსურ-ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ზეგავლენის შეფასება ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა. ამასთან, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია განსხვავებული მიდგომების გამოყენებაც ტყის ფონდის გადაძოვებისაგან დასაცავად, მათ შორის, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, საძოვრების გამოყენებასა და საძოვრების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მოქალაქეებისა და დაინტერესებული პირების მიერ სამოქალაქო მონიტორინგის გაწევა, ტყის ფონდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ ტყის ფონდის ტერიტორიის საძოვრებად გამოყენებაზე ნებართვის გაცემა და ა.შ.

საწყისი შეფასების დროს გამოკითხული ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წარმომადგენლები აღნიშნავენ რეგიონის ტყეებზე მონიტორინგის თანამედროვე და ეფექტიანი სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობას, რაც სააგენტოსა და სამმართველოს შესაძლებლობას მისცემს, განხორციელონ ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობისა და ტყის სხვადასხვა ნაკვეთებში მიმდინარე პროცესების უწყვეტი მონიტორინგი. ამ ეტაპზე მონიტორინგის თანამედროვე ინსტრუმენტებზე გამახვილდა ყურადღება, მათ შორის, სატელიტური დაკვირვების (აეროსპექტრული ანალიზის) სისტემებზე, რაც რეალურ რეჟიმში მიაწვდის ინფორმაციას რეგიონის სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებებს (მათ შორის, სააგენტოს, სამმართველოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს) ბუნებრივი ტყეებისა თუ ნარგავების მდგომარეობაზე, მოსავლიანობაზე და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ამ სისტემების დანერგვა მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის განცხადებით, სათანადოდ დასაბუთების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსებას რეგიონის ბიუჯეტი უზრუნველყოფს. როგორც სააგენტოსა და სამმართველოს ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ ტყეებზე მონიტორინგისა და დაკვირვების თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვა დაეხმარება სააგენტოს დროულად მოახდინოს ტყეებში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მდგომარეობის გაუარესების პრევენცია, თუმცა, რეინჯერებს დატვირთვას დიდად ვერ შეუმსუბუქებს.

ტყის დაცულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ტყის რესურსების მიმართ მოსახლეობის ნაწილის მტაცებლური დამოკიდებულებაა. კერძოდ, აღინიშნა სოციალურად დაუცველი პირის სტატუსს ამოფარებული ბრაკონიერების

წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების გატარების აუცილებლობა, თუმცა, მხოლოდ სააგენტოსა და სამმართველოს რესურსები ამისათვის საკმარისი არ იქნება და კანონმდებლობის დონეზე შეიძლება იყოს ჩარევა აუცილებელი.

სააგენტოს თანამშრომლები ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში იყენებენ კანონმდებლობით დადგენილ ზომებს დამრღვევების წინააღმდეგ, თუმცა, ხშირად დამრღვევი სოციალურად დაუცველი პირია, რომელსაც უჭირს დაკისრებული ჯარიმის გადახდა და ამდენად, სასამართლოსთვის უწევს მიმართვა, ჯარიმის მოხსნის თხოვნით. ამასთან, დამრღვევები უმეტეს წილად სოციალურად დაუცველი პირის სტატუსს ამოფარებული ბრაკონიერები არიან, რომლებსაც თავის სახელზე ქონება დარეგისტრირებული არა აქვთ და შესაბამისად ვერ ხერხდება მათ მიერ მიყენებული ზიანის ამოღება. დაუსჯელობის გამო ერთი წლის განმავლობაში ბრაკონიერები რამდენჯერმე არღვევენ ტყითსარგებლობის წესებს. ამასთან, სანქციების გამოყენებასთან ერთად აუცილებელია პრევენციული ზომების გატარებაც (მაგ., მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება) დარღვევების რაოდენობის შესამცირებლად.

### **ბ) ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა**

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტყის ენტო და ფიტო მავნებლებთან ბრძოლა სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო. დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ წითელი ნუსხით დაცული სახეობების გაქრობის რეალურ რისკს. 2014 წელს ტყის მავნებელ-დაავადებებთან ეფექტურად ბრძოლის უზრუნველსაყოფად სააგენტომ სპეციალური სამსახური შექმნა და სათანადო საშუალებებით აღჭურვა. სააგენტო ტყის ცალკეულ უბნებში უზრუნველყოფს მავნებელ მწერებთან ბრძოლის ახლებური ხერხების პილოტირებას და ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს, თუმცა, სოკოვანი დაავადებები კვლავ დაუძლეველ პრობლემად რჩება. ნიშანდობლივია, რომ სააგენტოსა და სხვა უწყებების (სურსათის ეროვნული სააგენტოს) მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად რეგიონში ამერიკული თეთრი პეპელას ეპიდემიის შესუსტების ტენდენციაც შეინიშნება.

2014 წლის განმავლობაში რეგიონის სატყეო სექტორისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ დაავადებებთან ერთად სხვა დაავადებებმაც იჩინა თავი (მაგ., ბზის ალურამ, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის წითელი ნუსხით დაცულ სახეობას).

### **გ) ტყითსარგებლობის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა**

აჭარის სატყეო სააგენტო ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას შემოთავაზებს უზრუნველყოფის თვალსაზრისით გარკვეულ მომსახურებას უწევს. კერძოდ, არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გათვალისწინებით სააგენტო უზრუნველყოფს ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთისა და ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემას, ტყეკაფის მონიშვნასა და გამოყოფას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული სატყეო კონცეფცია ითვალისწინებს ტყის მართვისა და სატყეო სექტორის ადმინისტრირების არსებული მოდელის რეფორმირებას საიმისოდ, რომ სატყეო სექტორში მოქმედმა უწყებებმა შეძლონ სატყეო მეურნეობის წარმოება და ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლებისათვის ეფექტური მომსახურების გაწევა. მარტივად რომ ითქვას, სატყეო მეურნეობის წარმოება გულისხმობს მოსახლეობის ტყისადმი წვდომის აუცილებლობის მინიმიზაციას, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ტყისათვის ზიანის მიყენების

რისკების შემცირებასა და ტყეებში არსებული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის შენარჩუნებას. ტყის მართვისა და ადმინისტრირების არსებული მოდელის რეფორმირება და ამის პარალელურად, ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ან შენარჩუნება სააგენტოსაგან მოითხოვს მართვის ახლებური მიდგომების ზეგავლენის შეფასებას ტყის ბუნებრივ რესურსებზე (მაგ., ეროზიული რისკების, ტყეების სიჯანსაღის შეფასებას). სიღრმისეული ანალიზის განხორციელება სააგენტოს დაეხმარება განსაზღვროს აუცილებლად განსაზოციელებელი აქტივობები, გარემოს დაცვის ზომები და წინასწარ განჭვრიტოს ის შედეგები, რაც ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დადგება. ასეთი ანალიზი უზრუნველყოფს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

როგორც სააგენტოსა და სამმართველოს მენეჯერები აღნიშნავენ, უხეში წინასწარი გათვლებით სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სატყეო მეურნეობების მიერ შეთავაზებული შემოთ უზრუნველყოფის სერვისები ბევრად უფრო ხარჯთეფექტური იქნება თავად მოსახლეობისათვის, რომელსაც რეალურად შეუმცირდება შემოთ უზრუნველყოფის ხარჯები. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფერმერი რეალურად დაზოგავს იმ დროსა და ენერჯიას, რაც მან გამოყოფილ ტყეკაფში ჭრასა და შემის გამოტანაზე უნდა დახარჯოს.

რეგიონისათვის შესაძლოა ასევე ხარჯთეფექტიანი იყოს მოსახლეობის შემოთა და სამასალე ხე-ტყით უზრუნველყოფის განსხვავებული მოდელები. მაგალითად, სააგენტომ შეიძლება უზრუნველყოს ტყე-კაფის გამოყოფა, მონიშვნა და მოსაჭრელი ხეების შეფასება, ხოლო ჭრა განახორციელოს კონტრაქტორმა ორგანიზაციამ. ამ მოდელის მიხედვით კონტრაქტორი თავად უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის შემისა და მასალის მიყიდვას. ასევე შეიძლება, რომ სააგენტომ დაიქირავოს კონტრაქტორი, რომელიც მოხლოდ ჭრასა და მოჭრილი მასალის სააგენტოს საწყობებში ტრანსპორტირებაზე იქნება პასუხისმგებელი, ხოლო შემისა და სამასალე ხე-ტყის მოსახლეობაზე გაცემას თავად სააგენტო აწარმოებს. სატყეო მეურნეობის წარმოების ამგვარი ალტერნატივები სააგენტოს მოუხსნის დამატებითი ტენიკა-მოწყობილობების შეძენისა და თანამშრომელთა დაქირავების აუცილებლობას.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რასაც ხაზი გაესვა, არის ის, რომ ხე-ტყის დიდი ნაწილი (უხეში გათვლებით დაახლოებით 30%), რასაც მოსახლეობა ამჟამად შეშად იყენებს, არის მასალა, რომლის რეალური საბაზრო ღირებულებად ბევრად უფრო დიდია. ამდენად, სატყეო მეურნეობის მიერ ხე-ტყის დამზადება, დახარისხება, დასაწყობება და შემდგომ გაყიდვა დაარეგულირებს მერქნული რესურსების რაციონალურ სარგებლობას და ფინანსურდ გამართლებულ და ეფექტურ მართვას. ამასთან, სატყეო მეურნეობები მოგებაზე არ იქნება ორიენტირებული, ხოლო შემისა და სამასალე მერქნის გაყიდვების სერვისებიდან ამონაგები თანხები (გარდა სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული მოსაკრებლებისა) ისევ ტყის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის ღონისძიებებზე, ტყეების სტრუქტურული და ხარისხობრივი მახასიათებლების ამაღლებისა და ტყის მდგრადი მართვის მიზნების მიღწევაზე უნდა მიიმართოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო მეურნეობის მიერ მოსახლეობის შემოთ უზრუნველყოფის სერვისის ხარჯთეფექტიანობის შეფასება სათანადო კვლევასა და ფინანსურ-ეკონომიკურ გათვლებს მოითხოვს. ამგვარი კვლევის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის შესწავლა და გათვალისწინება უნდა მოხდეს. კერძოდ:

- **სატყეო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართვა:** მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტომ თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააუმჯობესა, შეშით ან მასალით უზრუნველყოფის ეფექტიანი მომსახურების აწობა სავარაუდოდ დამატებით მოითხოვს უკვე გარდაქმნილი სატყეო მეურნეობისაგან სპეც-ტექნიკის შექმნას (რომლითაც, მაგალითად, შესაძლებელი იქნება მოთხრილ-მოტეხილი ან მოჭრილი ხეების ან მათი ნაწილების გამოტანა ტყეებიდან), რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ასევე გასათვალისწინებელია სპეც-ტექნიკის მოვლა-პატრონობისა და ცვეთის ხარჯები.

ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია, სათანადოდ იყოს შეფასებული არსებული და დაგეგმილი სატყეო-სამეურნეო ტრანსპორტირების სისტემა და მისი მოვლა-პატრონობის საკითხები. კარგად დაგეგმილი და განვითარებული სატყეო-სამეურნეო გზების ქსელი ერთგვარი წინაპირობაა ნებისმიერი ტყის წარმატებული მართვისა და ტყის მერქნული რესურსებით ეფექტიანი სარგებლობისათვის. სათანადოდ დაგეგმილი სატრანსპორტო სისტემის არარსებობის გამო შეიძლება არასასურველი შედეგები დადგეს, რაც შეამცირებს ტყის ბიომრავალფეროვნებას და უარყოფითი ეფექტი ექნება სააგენტოს საქმიანობაზე.

- **საწყობების მოწყობა და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:** სააგენტოს თანამშრომელთა და მენეჯერთა აზრით, სააგენტოს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოს ტყეში ან ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე სასაწყობე მეურნეობების მოწყობა. ამასთან, მასალების დაცულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ფოტო-ხაფანგების გამოყენებაც.
- **ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში ტყე-კაფის არარსებობა:** როგორც სააგენტოს წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, ცალკეულ ადგილმდებარეობებში (მაგ. დაბა ჩაქვი) ტყეკაფი საერთოდ არ არსებობს და ამდენად, მოსახლეობას სხვა მუნიციპალიტეტებში უწევს წასვლა. შორი მანძილიდან შეშის ტრანსპორტირება მოსახლეობას ძვირი უჯდება.
- **სატყეო მეურნეობის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენა:** იმის გარდა, რომ სატყეო მეურნეობის გამართვით გაუმჯობესდება ტყის დაცვის შესაძლებლობები და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იქნება უფრო ეფექტური მომსახურება, სატყეო მეურნეობას დამატებითი სოციო-ეკონომიკური ზეგავლენაც ექნება ადგილობრივი თემების მდგომარეობაზე. კერძოდ, ხის მჭრელებად ადგილობრივი თემების წარმომადგენლები დასაქმდებიან, თითოეულ სატყეო მეურნეობაში შეიძლება შეიქმნას ბრიგადები, რომლებიც ჭრებს უზრუნველყოფს, თუმცა, დასაქმება, სავარაუდოდ სეზონურად მოხდება.
- **შეშით უზრუნველყოფის სერვისის უზრუნველყოფა დაცულ ტერიტორიებში:** დაცულ ტერიტორიებში მოსახლეობისათვის შეშის გამოყოფა ბევრად უფრო ბიუროკრატიული პროცედურაა. ამდენად, მომსახურების მოდელის შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელია იმ თემების მდგომარეობა და სპეციფიკა, რომლებიც დაცული ტერიტორიის მიმდებარედ ცხოვრობენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაცულ ტერიტორიებს ფაქტობრივად მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის რესურსები აღარ აქვს. 2014 წელს აჭარის სატყეო სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების ერთობლივი ძაალისხმევით მოხდა შეშის მიწოდება

მოსახლეობისათვის, თუმცა, შემდგომ წლებში დაცული ტერიტორიებიდან მოსახლეობის შემთხვევით უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება.

- **ალტერნატიული ენერგომატარებლების გამოყენება მერქნულ რესურსზე დატვირთვის შესამცირებლად.** როგორც აჭარის ა/რ მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში გამართულ შეხვედრებზე განაცხადეს, რეგიონის გაზიფიცირება ან მოსახლეობის ქვანახშირით უზრუნველყოფა რეგიონული ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. რეგიონის სრული გაზიფიცირება დაახლოებით 5 წლის შემდეგ დასრულდება, რაც გარკვეულწილად შეამცირებს მერქნულ რესურსზე მოთხოვნას.

სატყეო მეურნეობების მოდელზე გადასვლა რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელდეს. პირველ ეტაპზე უნდა მომზადდეს სათანადო ნორმატიული ბაზა, რაც სატყეო კოდექსის გარდა მოითხოვს მთელ რიგ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პაკეტის მომზადებას. კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ აუცილებელი იქნება სატყეო მეურნეობების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ახალი ფუნქციებისა და მოვალეობების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. რაც ასევე მნიშვნელოვანია, სატყეო მეურნეობის თანამშრომლები და მენეჯერები უნდა დაექვემდებარონ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა წარმატებით გაართვან თავი თვისობრივად განსხვავებულ, სერვისებზე ორიენტირებულ სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს.

#### დ) ტყეთმოწყობა

2014 წელს სააგენტომ უზრუნველყო რეგიონის ტყის ფონდის საზღვრების დაგენა, თუმცა, დღეისათვის რეგისტრაციის პროცესი არ არის დასრულებული. ტყის ფონდის საზღვრების დადგენა-კორექტორება მნიშვნელოვანია ტყის ინვენტარიზაციისა და ტყეთმოწყობის საშუალო ან ხანგრძლივადიანი გეგმის შესამუშავებლად. ტყეთმოწყობის პროექტის შემუშავების ჯამური ღირებულება 1.5 მილიონი ლარია, თუმცა, სააგენტო ეტაპობრივად გეგმავს პროექტის განხორციელებას. აჭარის ტყეების 10% მაღალი სიხშირის, 10% - დაბალი, ხოლო 80% საშუალო სიხშირის ტყეა.

2015-2016 წლებში სააგენტო უზრუნველყოფს რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში ტყეების ინვენტარიზაციასა და ტყეთმოწყობის გეგმის შემუშავებას. ამასთან, როგორც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ტყეთმოწყობასთან ერთად აუცილებელია ტყეების ზონირება, რამაც მომავალში სატყეო ფონდში არსებული მიწების ეფექტური მართვა და გამოყენება უნდა განაპირობოს.

#### ე) დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემუშავება

აჭარის ტყის რესურსების რაციონალური, მრავალმიზნობრივი და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად სასურველია დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების ისეთი პროცესის შემუშავება, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემებისა და საზოგადოების ჩართვა დაგეგმვის პროცესში. სამოქალაქო ჩართულობა გაზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და ნდობას სააგენტოს მიმართ. დაგეგმვის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია სანდო გზაა ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად და სააგენტოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისათვის. ამასთან, ამგვარი



პრაქტიკის დამკვიდრებისთვის შესაძლოა კანონმდებლობის შეცვლა-მიღებაც იყოს აუცილებელი.

### **ვ) არამერქნული რესურსის გამოყენება**

რეგიონის ტყეები მდიდარია არამერქნული რესურსებით, თუმცა, ამჟამად მოსახლეობის მიერ არამერქნული რესურსების მოპოვება უკონტროლოდ ხდება, რაც როგორც საგენტოს, ასევე, ადგილობრივი გარემოს დამცველების განცხადებით დიდ ზიანს აყენებს ტყეებს. მოთხოვნადი არამერქნული რესურსების ნაწილი (მაგ.ძმერხლი) „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობაა და ამდენად, მისი მოგროვება აკრძალულია, თუმცა, დამრღვევის წინააღმდეგ სანქცია დადგენილი არ არის.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ არამერქნული რესურსების მოპოვების რეგულირება უნდა მოხდეს. ასევე უნდა დაწესდეს მოსაკრებელი, ხოლო ტყის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე უფლებამოსილი ორგანოები უნდა აღიჭურვონ უფლებამოსილებით განსაზღვრონ ტყის ის უბნები, სადაც დროის განსაზღვრულ პერიოდში დასაშვები იქნება არამერქნული რესურსების მოპოვება. ამასთან, ცალკეულ ადგილმდებარეობაში უწყებამ შეიძლება აკრძალოს ზოგიერთი არამერქნული რესურსების გარკვეული ვადით მოპოვება.

ტყის არამერქნული რესურსების სამეწარმეო მიზნით დამზადება-მოპოვების რეგულირება (მათ შორის საკანონმდებლო აქტების საშუალებით) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ მეწარმეებს არამერქნული რესურსის ექსპორტისათვის ამ რესურსის ადგილწარმოშობის სერტიფიკატები ესაჭიროებათ, რომლის გაცემის უფლებამოსილებაც არც ერთ უწყებას არ გააჩნია. არამერქნული რესურსების სამეწარმეო მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების გამოცდილებისა და ევროკავშირის სტანდარტების შესწავლა. ასევე, სასურველია სათანადო გარემოსდაცვითი ანალიზის ჩატარება, რათა განისაზღვროს თუ ტყის რომელ უბნებში, როდის, როგორი ფორმით და რა რაოდენობით არის შესაძლებელი არამერქნული რესურსების მოპოვება, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

### **ზ) სამონადირეო მეურნეობების ჩამოყალიბება**

განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა სამონადირეო მეურნეობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. როგორც გარემოს დამცველები აღნიშნავენ, რეგიონის ტყეებში მოზინადრე ცხოველების დიდი ნაწილი „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებს განეკუთვნება, ამდენად, სამონადირეო მეურნეობების შექმნა სათანადო ეკოლოგიური შეფასების, ანალიზისა და კვლევის შედეგების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. რეგიონის სტრატეგიის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნება და ტურისტული სეზონის გახანგრძლივება, რეგიონში აქტიურად განიხილება სამონადირეო მეურნეობების შექმნის მიზანშეწონილობა. როგორც აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოში განაცხადეს, თითოეულ მინიციპალიტეტში შერჩეულია ის ადგილები, სადაც შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობის მოწყობა, თუმცა, ყველაზე აქტიურად სამონადირეო მეურნეობის მოწყობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის თიკერის სატყეო უბანში განიხილება 800 ჰექტარზე. თუმცა, ამისათვის მთელი რიგი ღონისძიებებია ჩასატარებელი. შემოღობვისა და სამონადირეო მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოწყობის გარდა, აუცილებელია

სამონადირეო მეურნეობის გარემოზე ზეგავლენის შეფასება, მეურნეობის პერსონალისა და მენეჯერების გადამზადება. ამ მხრივ, უმაღლესი საბჭო გეგმავს ღია კონკურსის წესით შეარჩიოს კადრი და დააფინანსოს მისი საზღვარგარეთ განათლების ხარჯები. შესაბამისი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მომზადებული კადრი უზრუნველყოფს სამონადირეო მეურნეობის მოწყობის საპილოტე პროექტის შეფასებას, შემუშავებასა და მართვას.

#### თ) რეგიონის ტყეებში სარეკრეაციო ზონების მოწყობა

როგორც აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რეგიონში წლიდან-წლამდე იზრდება მოთხოვნა ტურიზმის განსხვავებულ, რეგიონისათვის არატრადიციულ პროდუქტებზე, მათ შორის ეკოტურისტულ მომსახურებაზე. 2015 წლისთვის დეპარტამენტს შედგენილი აქვს 5 ეკოტურისტული მარშრუტი, ხოლო წლის დასაწყისიდან დეპარტამენტი გეგმავს დამატებით 10 მარშრუტზე მუშაობის დაწყებას, რომელთა ნაწილს შეხება ექნება აჭარის სატყეო სააგენტოს მართვაში არსებულ სატყეო უბნებთან. ამდენად, ეკოტურისტული მარშრუტების შემუშავებაში მიზანშეწონილი იქნება სააგენტოს მენეჯერებისა და რეინჯერების ჩართულობა. ტურიზმის დეპარტამენტის რეგიონის ტყეების პოპულარიზაციისათვის ასევე განიხილავს სხვა ინიციატივების განხორციელების მიზანშეწონილობასაც (მაგ., ტყის ფესტივალების ჩატარებას).

სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელები, თავის მხრივ, ასევე განიხილავენ რეგიონის ტყეებში რეკრეაციული ზონების მოწყობისა და დამსვენებლების მოზიდვის ეფექტიანი მექანიზმების ამოქმედების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას. ცხადია, ამ ტიპის სერვისების დანერგვა სარეკრეაციო ზონების ინფრასტრუქტურის (მაგ., კემპინგი) მოწყობასთან ერთად მოითხოვს მარეგულირებელი ნორმატული ჩარჩოს ცვლილებას. ასევე, აუცილებელია რეგიონის სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლაც<sup>2</sup>.

რეკრეაციული ფართობების მართვა აგრეთვე შესაძლებელია ტყითსარგებლობის ფორმითაც, რაც არსებული კანონმდებლობის დახვეწას მოითხოვს.

#### ი) საზოგადოების ჩართულობა და კომუნიკაცია

ადგილობრივი თემებისა და ზოგადად, საზოგადოების ინფორმირება და ჩართვა სააგენტოს საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანია ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და მისი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი თემები და მოქალაქეები ზოგადად დიდ ინტერესს იჩენენ იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც მათი რესურსების მართვასთან არის დაკავშირებული და მათი ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს. მოქალაქეების მოსაზრებებმა და წინადადებებმა შეიძლება ასევე გაზარდონ სააგენტოს გადაწყვეტილებათა ხარისხი. როგორც წესი, მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ იმ საქმიანობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ტყის მდგრადობას. ისეთი პროცესის შემუშავება და დანერგვა, რაც მოსახლეობას მიაწვდის

<sup>2</sup> მეზობელ თურქეთში ტყეების სარეკრეაციო ზონების ინფრასტრუქტურას ადგილობრივი სატყეო მეურნეობები ამზადებენ და არენდით გასცემენ ბიზნეს-ორგანიზაციებზე.

ინფორმაციას სატყეო სექტორში დაგეგმილი და მიმდინარე სამუშაოების შესახებ და შესაძლებლობას მისცემს მათ ჩაერთონ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაში, ხელს შეუწყობს სააგენტოს პროგრამული აქტივობების წარმატებით განხორციელებას.

#### **ი) სააგენტოს საქმიანობის მართვა და ადამიანური რესურსები**

დაინტერესებული მხარეების მიერ სააგენტოს, მისი საქმიანობისა და შედეგების აღქმა დიდწილად პოზიტიურია. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანოს (უმაღლესი საბჭოს), რეგიონის მთავრობისა და სხვა დარგობრივი უწყებების თანამშრომლები აღნიშნავენ, სამმართველოსა და სააგენტოს ხელმძღვანელობა გახსნილია თანამშრომლობისათვის და არცერთ ორგანიზაციას არსებითი დაბრკოლებები არ ექმნება სააგენტოსთან ურთიერთობებში. ამასთან, როგორც ა/რ მთავრობის აპარატში განაცხადეს, სატყეო სექტორის მართვა სრულად აქვს მინდობილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს და ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი საოპერაციო ან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს.

სააგენტოსა და სამმართველოს მენეჯერებსა და თანამშრომლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფის შემდეგი საჭიროებები:

- **ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა:** სააგენტოში, ისევე, როგორც რეგიონის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ უწყებაში დანერგილი არ არის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების თანამედროვე სისტემა. არ ხდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების გამოკვლევა და სათანადო ზომების უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, სააგენტოს მწირი ბიუჯეტით არის განპირობებული.
- **პერსონალის მოტივაციის სისტემის შექმნა:** სააგენტოში ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით ძალიან დაბალი ხელფასებია დადგენილი როგორც ხელმძღვანელი პირებისთვის, ასევე, თანამშრომლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სამმართველოს მენეჯერების ძალისხმევით ბოლო წლებში პერსონალის ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა, იგი არ არის საკმარისი და პერსონალის გადინება მუდმივად უქმნის პრობლემებს სააგენტოსა და სამმართველოს, რომელსაც პერიოდულად უწევს კონკურსების ჩატარება, ახალი კადრების აყვანა და მომზადება. ამასთან, შემუშავებული და დანერგილი არ არის სასწავლო-საორიენტაციო ან მენტორინგის სისტემატიზირებული პროგრამა ახლად დაქირავებული მეტყვევებისათვის. ზოგადად, სფეროში კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა პრობლემურია, რადგან განათლების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას გარემოს დაცვისა და სატყეო სამსახურებისათვის.
- **არასაკმარისი ადამიანური რესურსები:** სააგენტოს სატყეო ადმინისტრაციებში კადრების ნაკლებობაა. 1500 ჰა ფართობზე საშუალოდ ერთი ტყის მცველი მოდის. გარკვეულ ადგილმდებარეობებში შეიძლება უფრო დიდ ფართობზეც იყოს ერთი რეინჯერი საკმარისი, მაგრამ იმ სატყეო უბნებში, რომელსაც რამდენიმე შესასველი

აქვს, ერთი ტყის მცველი ვერ ახერხებს ტყის დაცვას და დარღვევების დროულად აღმოჩენას.

- **რეინჯერების უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური საშალებებით.** როგორც აღინიშნა, ტყის მცველებს სჭირდებათ თანამედროვე ინვენტარი, რათა ეფექტურად განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ხშირად ისინი დაუცველნი არიან ნადირის თავდასხმისაგან. სააგენტოს ტყის მცველები უმეტესწილად საკუთარი ცხენებით უზრუნველყოფენ მათთვის მინდობილი ტყის უბნების პატრულირებას.

DRAFT

## VII. აჭარის სატყეო სააგენტოს SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• სააგენტოს კვალიფიცირებული კადრები (ტყის მართვის, ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში და მონიტორინგის სამსახურში, მთავარი მეტყევეები ტერიტორიულ ორგანოებში)</li> <li>• სატყეო-სამეურნეო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები</li> <li>• დღევანდელი ფუნქციონალური დატვირთვის განხორციელებისათვის ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურა</li> <li>• ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</li> <li>• სათანადოდ აღჭურვილი ადმინისტრაციული (მუნიციპალური) ოფისები არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად</li> <li>• საკუთარი, არასაბიუჯეტო შემოსავლები</li> <li>• ტყის მავნებელ დაავადებებთან ბრძოლის საშუალებები (ლაბორატორია)</li> <li>• საკმარისი დაფინანსება არსებული საოპერაციო ამოცანების გადასაჭრელად</li> <li>• აჭარის მთავრობის მხარდაჭერა და ნდობა სააგენტოს მიმართ</li> <li>• სააგენტოს თანამშრომლების მიერ იმის გააზრება, რომ სატყეო სექტორის მართვა დინამიურია და აუცილებელია სექტორის მართვის თანამედროვე მიდგომების დანერგვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არასაკმარისი ადამიანური რესურსები სააგენტოსა და მის ტერიტორიულ ადმინისტრაციებში</li> <li>• თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესაძლებლობათა ნაკლებობა ან არარსებობა</li> <li>• ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის არარსებობა (მოტივაცია, პერსონალის შეფასება)</li> <li>• დაბალი რანგის თანამშრომელთა (ტყის მცველების) ხშირი ცვლა</li> <li>• პროფესიონალი მეტყევეების ნაკლებობა სააგენტოს ტყის მცველებს შორის</li> <li>• ინვენტარიზაციისა და ტყის მართვის გეგმების არარსებობა (ტყეების შესახებ ზუსტი და ახალი მონაცემების ნაკლებობა)</li> <li>• დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების მკაფიოდ განსაზღვრული პროცესის არარსებობა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ტყის მართვასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი</li> <li>• მოსახლეობის შემთხვევით უზრუნველყოფის მხრივ არსებული შესაძლო ხარვეზები</li> <li>• ტყის მართვის აქტივობებში საზოგადოების ჩართვის ფორმალიზებული პროცესის არარსებობა</li> <li>• ტყის ფონდის საზღვრების დაუზუსტებლობა</li> <li>• სააგენტოს მწირი საკუთარი შემოსავლები</li> <li>• სრულყოფილი სანერგე მეურნეობის არარსებობა</li> <li>• არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა             <ul style="list-style-type: none"> <li>○ ლაბორატორიაში თანამედროვე ინვენტარისა და ხელსაწყოების ნაკლებობა, სავლე სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი ინვენტარის</li> </ul> </li> </ul>

	<p>არარსებობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის არარსებობა</li> <li>○ ტყის მცველების გადაადგილების მობილური საშუალებების არარსებობა</li> <li>○ მეტყევეთა დაუცველობა არსებული საფრთხეების (ნადირი, ბრაკონიერები) წინაშე</li> <li>○ მეტყევისათვის აუცილებელი ხელსაწყოების ნაკლებობა</li> <li>• არასრულყოფილი სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა       <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასაწყობო მეურნეობების არარსებობა</li> <li>○ ხერგილებისა და საგუშაგოების არარსებობა</li> </ul> </li> </ul>
<b>შესაძლებლობები</b>	<b>საფრთხეები და რისკები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• სატყეო სექტორის მართვის და სატყეო მეურნეობის თვითმყოფად მოდელზე გადასვლა</li> <li>• ტყეთმომოწობა       <ul style="list-style-type: none"> <li>○ ზონირება ტყის ფონდის მიწების სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვების და შესაძლებლობების გამოსავლენად და დასაზუსტებლად</li> </ul> </li> <li>• ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება-კორექტირება</li> <li>• საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დასანერგად რეგიონის სატყეო სექტორში</li> <li>• სააგენტოსა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების გაძლიერება სპეც-ტექნიკითა და თანამედროვე ინვენტარით</li> <li>• ხე-ტყის მოსაპოვებლად საზღაურის გადახდის პროცედურების გამარტივება საბანკო დაწესებულებებში</li> <li>• სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვის ახალი ან ინოვაციური მომსახურებების შეთავაზება</li> <li>• დონორების დაინტერესება და მხარდაჭერა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომხმარებლების დაბალი ცნობიერება ტყითსარგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ</li> <li>• მოსახლეობის მწირი შემოსავლები, რაც განაპირობებს ტყის რესურსების არაგონივრულ გამოყენებასა და ტყითსარგებლობის წესების დარღვევას</li> <li>• ტყითსარგებლობის წესების დარღვევაზე დაუსჯელობის სინდრომი მოსახლეობაში</li> <li>• განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს ადეკვატური კვალიფიკაციის, პროფესიონალი მეტყევე კადრებით</li> <li>• არაადეკვატური, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა</li> <li>• ტყით დაუფარავი და ტყის დეგრადირებული ტერიტორიები ამოღებულია ტყის ფონდიდან</li> <li>• ტყის ფონდის საზღვრების დაუზუსტებლობის გამო ტყის ფონდის ტერიტორიებიდან სააგენტოსთან შეუთანხმებლად ტყის ფონდის მიწის ნაკვეთების დარეგისტრირება სახ.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• სატყეო სააგენტოს მომსახურების სახეების, საფასურის დადგენა და საკანონმდებლო უზრუნველყოფა</li> <li>• მონიტორინგის კრიტერიუმებისა და მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება რეგიონის სატყეო სექტორში ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვის მხრივ მიღწეული პროგრესის პერიოდულად შესაფასებლად</li> <li>• ტყითსარგებლობის ეფექტიანი სისტემის შექმნა       <ul style="list-style-type: none"> <li>○ მოსახლეობის შუშით უზრუნველყოფის არსებული სისტემის შესწავლა და საჭიროებისამებრ გადასინჯვა</li> <li>○ სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზების მშენებლობის დაგეგმვა გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით</li> <li>○ ტყის არამერქნული რესურსებით კომერციული მიზნებისათვის სარგებლობის რეგულირება</li> <li>○ სამონადირეო მეურნეობების შექმნის მიზანშეწონილობის შესწავლა</li> <li>○ რეგიონის ტყეებში სარეკრეაციო ზონების მოწყობა</li> </ul> </li> </ul>	<p>უწყებებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანთროპოგენური ზემოქმედების<sup>3</sup> შედეგად ტყეების დეგრადაცია, განსაკუთრებით, სუბალპური ტყეების ზედა სარტყელის და ტყის ზედა საზღვრის დაბლა დაწევა</li> <li>• ახალი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება ტყის დიდ ფართობზე</li> <li>• კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით რეგიონის ტყეების მონიტორინგისა და ადაპტაციის შესაბამისი მეთოდოლოგიის არარსებობა</li> <li>• დაავადებათა კერების სწრაფად აღმოჩენისა და პრევენციის თანამედროვე მიდგომების ნაკლებობა</li> <li>• მერქნული რესურსის ალტერნატიული ენერგომატარებლების ნაკლებობა, რაც შეამცირებს დატვირთვას მექნულ რესურსზე</li> <li>• ტყით დაუფარავი და დეგრადირებული ფართობები ამოღებულია ტყის ფონდიდან, რაც ართულებს ტყის აღდგენისა და განახლების ღონისძიებების განხორციელებას, პლანტაციური ტყეების გაშენებას და სხვ.</li> <li>• სამასალედ გამოყოფილი ხე-ტყის მიზნობრივად გამოყენების კონტროლი და ადმინისტრირება</li> </ul>
---	---

<sup>3</sup> უკანონო ჭრები, გადამოვება, არამერქნული რესურსების უკონტროლო გამოყენება, რაც საფრთხეს უქმნის ტყის ბიომრავალფეროვნებას, ხანძრები.

## VIII. აჭარის სატყეო სააგენტოს ხედვა და მისია

### ხედვა

*ტყის მდგრადი მართვისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპებზე დაფუძნებული სატყეო სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღ, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, კლიმატის ცვლილების ან ანთროპოგენული ზემოქმედების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების ეფექტიან დაკმაყოფილებას, ტყის ფუნქციონალური დატვირთვის გაზრდასა და გაძლიერებას.*

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ხედვაში დაფიქსირებულია ის იდეალური მდგომარეობა, რომლის მიღწევაც წარმოადგენს სააგენტოს საქმიანობათა საბოლოო მიზანს. ამასთან, ხედვაში მოცემული მდგომარეობის მიღწევაში აჭარის სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გარდა პასუხისმგებლობა სხვა სახელმწიფო და რეგიონულ უწყებებს, კერძო და სამოქალაქო სექტორებს აკისრიათ. აჭარის სატყეო სააგენტოს მონაწილეობა ხედვაში ასახული მდგომარეობის მიღწევაში განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომლებსაც სააგენტო თავისი სტრატეგიის ფარგლებში დაისახავს.

### მისია 2015-2019 წწ

*აჭარის სატყეო სააგენტო არის აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის რაციონალურ მართვას, ტყის მოვლას, დაცვა-აღდგენას, რეგიონის ტყეებში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. სააგენტო ორიენტირებულია მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების განვითარებაზე. თავისი საშუალოვადიანი მისიის მიღწევას სააგენტო უზრუნველყოფს:*

- სააგენტოს ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებით
- სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით
- სატყეო სექტორის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობით
- სატყეო სექტორში მრავალფეროვანი კვლევების ჩატარებითა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებით
- რეგიონში არსებული ტყის მასივების ფუნქციონალური დატვირთვის განსაზღვრით და რეგიონის ტყის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენებით

მისიაში წარმოადგენილია აჭარის სატყეო სააგენტოს სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სააგენტომ მოახდინა არსებული ინსტიტუციური თუ საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საჭიროებების პრიორიტიზება და თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად გამოკვეთა პირველი რიგის ამოცანები, რომელთა გადაჭრაც სააგენტოს ხელეწიფება მისთვის ხელმისაწვდომი ადამიანური თუ ფინანსური რესურსებით.



## IX. სააგენტოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

### სტრატეგიული მიზანი 1 - ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა, ტყის დაცვა და მოვლა

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს დამტკიცებული „საქართველოს სატყეო კონცეფციის“ უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპია ტყის მდგრადი მართვა. როგორც ეროვნულ კონცეფციაშია ხაზგასმული, ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების ისეთი მეთოდებით მოვლასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, ისე, რომ მათ ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე სხვა ეკოსისტემებზე ზიანის მიუყენებლად. ტყის მართვაში მონაწილე ყველა სუბიექტი, მათ შორის, სახელმწიფო და რეგიონული უწყებები, კერძო ორგანიზაციები, თვითმმართველობები და ადგილობრივი თემები, აღნიშნული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს.

ტყის რესურსებით უკონტროლო და არაგეგმაზომიერი სარგებლობის შედეგად აჭარაში, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში ტყის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი არის დეგრადირებული, რის გამოც ტყეებსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე ადვილად ვითარდება ეროზიული და მეწყრული პროცესები, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, აბრკოლებს სოფლის მეურნეობისა და რეგიონის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი სხვა დარგების, მათ შორის, ტურიზმის განვითარებას. გარემოსდამცველთა შეფასებით, რეგიონში ტყეს ნაწილობრივ დაკარგული აქვს თვითაღდგენის უნარი. ტყეებზე ნეგატიურ ანთროპოგენულ ზემოქმედებას ასევე ემატება ბუნებრივი ფაქტორები, მათ შორის, კლიმატის ცვლილება და მისგან გამომდინარე სხვა ძირითადი რისკები (მაგნიტულ-დაავადებათა გავრცელება ტყის მნიშვნელოვან ფართობზე), რაც აჭარის სატყეო სააგენტოსაგან მოითხოვს მოკლე დროში ეფექტური ზომების შემუშავებასა და განხორციელებას.

#### **სტრატეგიული ამოცანა 1.1 - ტყის მართვის დაგეგმვა**

ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა სააგენტოსაგან მოითხოვს **სატყეო სექტორის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემუშავებას**, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ტყის მართვასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი და გარემოსდაცვითი რისკები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ნებისმიერი სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რაც აჭარის სატყეო სააგენტომ და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ შეიძლება მიიღოს რეგიონის ტყის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა შემუშავდეს წინასწარ განსაზღვრული, სტანდარტული პროცედურების (SOP) შესაბამისად, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, რეგიონულ და სახელმწიფო უწყებებს, კერძო სექტორის ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თემებს თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ განხილვებისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. ამასთან, ნებისმიერი გადაწყვეტილება ტყის მართვის საკითხებთან დაკავშირებით სათანადოდ უნდა ითვალისწინებდეს იმ რისკებს, რამაც რეგიონის ეკოსისტემას, ასევე,

ტყეების გარემოსდაცვით, აღდგენით თუ სხვა სახის ფუნქციებს გარკვეული ზიანი შეიძლება მიაყენოს.

რეგიონის ტყის მართვის დაგეგმვა სააგენტოსაგან პირველ რიგში მოითხოვს **ტყის მართვის გეგმების საფუძველზე ყოველწლიური საოპერაციო გეგმების შემუშავებას** რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით, რაც სააგენტოს შესაძლებლობას მისცემს მოახდინოს რეგიონის ტყეებში არსებული მერქნული თუ არამერქნული რესურსებით გეგმაზომიერი სარგებლობის განხორციელება. 2015 წლიდან სააგენტო იწყებს სხვადასხვა ტიპის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის ტყის ინვენტარიზაციას. 2015-2016 წლებში სააგენტო უზრუნველყოფს ტყეთმოწყობის განხორციელებას რეგიონის სატყეო ფონდში, ასევე, ტყის არსებული რესურსების გათვალისწინებით ტყის მართვის გეგმების შემუშავებას რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებული ტყეებისათვის. ტყის მართვის გეგმების საფუძველზე სააგენტო უზრუნველყოფს თავისი პერიოდული საოპერაციო გეგმების შედგენა-განახლებას.

ტყის მართვის გეგმების შემუშავებასთან ერთად სატყეო სააგენტოს ამოცანაა, მოახდინოს **ტყეების ფუნქციონალური ზონირება (ან/და კატეგორიზაცია)** მათი სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად. სავარაუდოდ, სატყეო სექტორის რეფორმირების შედეგად, მომავალში ტყის ინვენტარიზაციის აქტივობების რეგულირება ტყეების ზონირებისა და მათი ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მოხდება. ასევე, სასურველია ტყის მართვის გეგმების სათანადოდ გათვალისწინება რეგიონში მიმდინარე სივრცითი მოწყობის ინიციატივებში, რასაც აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს.

ტყეთმოწყობისა და ტყის მართვის გეგმის შემუშავების უმთავრესი წინაპირობა რეგიონის **ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება და კორექტირებაა**, რასაც სააგენტო 2015 წლის პირველ ნახევარში დაასრულებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით რეგიონის ტყის ფონდის საზღვრების კორექტირების შესახებ საკითხს ითანხმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის სატყეო სააგენტო. ასევე აღსანიშნავია, რომ აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს ტყის მართვის გეგმის კორექტირების მექანიზმის განსაზღვრას, შესაძლებელი იქნება შესაბამისი გეოინფორმაციული ბაზის საფუძველზე ტყის მართვის გეგმების კორექტირება.

ტყის მართვის გეგმების და საოპერაციო გეგმების საფუძველზე სააგენტო განახლებს **სატყეო-სამეურნეო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის გეგმებს** რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტისათვის. სამმართველოსა და სააგენტოს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ სატყეო-სამეურნეო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის რეგლამენტის შემუშავებაში, ხოლო მისი დამტკიცების შემდეგ მიუსადაგებენ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის გეგმებს

ახალი რეგულაციების მოთხოვნებს. ტყის მართვის გეგმების საფუძველზე, სააგენტოს მომსახურების მდგრადობის უზრუნველსაყოფად სააგენტო უზრუნველყოფს ტყეში არსებული მერქნული და არამერქნული რესურსების გამოყენების მარკეტინგული ანალიზის განხორციელებას და შესაბამისი სერვისების დაგეგმვა-მიწოდებას სახელმწიფო, კერძო და იურიდიული პირებისთვის.

**სტრატეგიული ამოცანა 1.2 ტყის დაცვა ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან, რაც შეამცირებს ტყის დეგრადაციის პროცესს და ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და დაცვითი ფუნქციების განხორციელება-გამლიერებას**

რეგიონის ტყეების დეგრადაციის პროცესის პრევენციისა და ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის უმნიშვნელოვანესია ტყეში უკანონო ჭრების მინიმიზაცია, რაც თავისი არსით, კომპლექსური გამოწვევაა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ სააგენტოს ძალისხმევით შეუძლებელია. ამ ამოცანის შესრულება სხვა, სააგენტოსაგან დამოუკიდებელ სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებზეც არის დიდწილად დამოკიდებული, მათ შორის, მოსახლეობის სიღარიბის დონეზე, ტყითსარგებლობის საერთო-ეროვნულ რეგულაციებზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე, გათბობისა და საწვავის ალტერნატიული წყაროების გავრცელებაზე (რეგიონის გაზიფიკაციაზე) და ა.შ. იმის გარდა, რომ მომავალში სააგენტო უზრუნველყოფს თავისი საქმიანობისა და საოპერაციო პროცედურების მისადაგებას ტყითსარგებლობის განახლებულ რეგულაციებთან, მოკლევადიან პერსპექტივაში სააგენტო გეგმავს შეაფასოს რეგიონის მუნიციპალიტეტების სატყეო ადმინისტრაციებში მობილიზებული ადამიანური რესურსების რაოდენობის შესაბამისობა თითოეული სატყეო უბნის გეოგრაფიულ-ლანდშაფტური თავისებურების, ასევე, ტყის რესურსების უკანონო მოპოვების რისკების გათვალისწინებით და შესაბამისად გადაანაწილოს მეტყევეები სატყეო უბნებზე, ხოლო, სადაც აუცილებელია, უზრუნველყოს დამატებითი ადამიანური რესურსების მობილიზება. ასევე, იგეგმება ტყეებზე მონიტორინგის არსებული სისტემის გადასინჯვა, მეტყევეების უზრუნველყოფა დაკვირვებისა და კონტროლის მექანიზმების თანამედროვე საშუალებებით და აღმოჩენილ დარღვევებზე დროული და ეფექტური რეაგირების სისტემის შემუშავება-დანერგვა. ამ სისტემების ეფექტურად გამოყენება მისცემს სააგენტოს სახელმწიფო ტყის ფონდის უკანონო სარგებლობის და სხვა უარყოფითი პროცესების ანალიზის და პრევენციის საშუალებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონის ტყეებში გახშირდა ტყის არამერქნული რესურსებით (მათ შორის, ისეთი სახეობებით, რომლებიც საქართველოს წითელი ნუსხითაა დაცული) უკონტროლო სარგებლობის შემთხვევები, სატყეო სააგენტო, განახლებული კანონმდებლობის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს არამერქნული რესურსებით კომერციული სარგებლობის რეგულირებასა და უკონტროლო სარგებლობის პრევენციას. ამჟამად შემუშავების პროცესშია ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობის საერთო ეროვნული რეგულაციები. შესაბამისი ნორმატული პაკეტის მომზადების შემდეგ სამმართველოსა და სააგენტოს წარმომადგენლები სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი საკანონმდებლო და/ან ნორმატული აქტების პროექტების განხილვასა და შემდგომ სრულყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონის ტყეებში მნიშვნელოვანი ხანძრის კერები არ დაფიქსირებულა, დღეისათვის ხანძრის წარმოქმნის უმთავრესი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე (ტყის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაწმენდა ცეცხლის წაკიდების გზით) ამასთანავე, აჭარაში ეკოტურიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება ხანძრების წარმოქმნის რისკიც, რაც სააგენტოსაგან მოითხოვს ხანძრების პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების ეფექტური სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

### **სტრატეგიული ამოცანა 1.3 - დეგრადირებული ტყეების აღდგენა, ტყით დაუფარავი ფართობების გაშენება და ტყის მოვლის ეფექტური სისტემის დანერგვა**

შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში აჭარის სატყეო სააგენტო რეგიონის ტყის ინვენტარიზაციის შედეგად შემუშავებული რეგიონის ტყის მართვის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას და ამ მიზნით შეიმუშავებს ტყის აღდგენისა და სანერგეების მართვის სათანადო გეგმას. დღეისათვის ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციასთან ფუნქციონირებს ერთი სანერგე 1 ჰა ფართობზე. საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში, სააგენტო შექმნის დამატებით ერთ სანერგე მეურნეობას მაღალი ზონის სარტყელში ტყის შემქმნელი კულტურების გამოსაყვანად. მომავალში საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით, ასევე ტყის აღდგენისა და სანერგეების მართვის გეგმაზე დაყრდნობით, სააგენტო უზრუნველყოფს სანერგე მეურნეობების შემდგომ განვითარებას.

რეგიონში გააქტიურებული სტიქიურ-გეოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით აჭარის სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია აჭარის ა/რ მთავრობასა და მუნიციპალიტეტებთან ადრეული გაფრთხილების ან ინფორმაციის გაცვლის სისტემის შექმნა, რათა სააგენტომ უზრუნველყოს რეგიონული ხელისუფლების დროულად ინფორმირება ტყეებსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული ან წარმოქმნილი ეროზიული, ღვარცოფული ან/და მეწყრული რისკების შესახებ. სააგენტო და სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას ასევე მიიღებენ ეროზიის პრევენციული ზომების შემუშავებასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში.

სახელმწიფო ტყის ფონდში გადაძოვება ერთ-ერთი ძირითადი უარყოფითი ფაქტორია, რაც რეგიონის ტყეების, განსაკუთრებით, სუბალპურ ზონებში ბუნებრივ თვითაღდგენას აბრკოლებს. რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმართველ ერთეულებთან თანამშრომლობით, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეგიონის სატყეო ფონდის გადაძოვებისაგან დასაცავად ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, ამ ღონისძიებათა შემუშავების დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ შორის:

- აჭარა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, სადაც მცირემიწიანობა სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად განიხილება;

- შეღობვის ღონისძიებათა განხორციელება წინასწარ კონსულტაციებს, შესწავლასა და კვლევას მოითხოვს, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ ღონისძიებათა უარყოფითი ზეგავლენა მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მეცხოველეობის დარგის განვითარებაზე;
- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში რეგიონში ინსტენსიურად ხორციელდება ჯიშთგანახლების პროექტები, მათი ეკოლოგიური ეფექტი ჯერ-ჯერობით არ შეუფასებიათ;
- დღემდე რეგიონში არ განხორციელებულა საძოვრებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადასარეკი ტრასების შესწავლა-შეფასება და, ამდენად, იდენტიფიცირებული არ არის ის გარემოსდაცვითი და ფიტო-სანიტარული რისკები, რასაც უკონტროლო ძოვება იწვევს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ 2014 წლის განმავლობაში ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყო დაახლოებით 133 ჰა ტყის ფონდში არსებული მიწის ნაკვეთის შეღობვა. 2018 წელს რეგიონის ტყის ფონდის შემოღობილი მიწის ნაკვეთის საერთო მოცულობა დაახლოებით 500 ჰექტარს მიაღწევს.

2016 წლიდან აჭარის სატყეო სააგენტო საერთაშორისო დონორების დახმარებითა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით უზრუნველყოფს **კლიმატის ცვლილებასთან რეგიონის ტყეების ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად ღონისძიებების** შემუშავებას, სადაც ადაპტაციისა და რეგიონის ტყეებსა და ეკოსისტემაზე კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედების შერბილებისათვის განსახორციელებელი ქმედებების გარდა, ასევე განხილული იქნება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისა და პრევენციის საკითხები. გარდა იმ ღონისძიებებისა, რასაც სააგენტო ახორციელებს ტყის მავნებელ-დაავადებებისაგან დასაცავად, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტო ასევე გეგმავს თავისი ლაბორატორიის ტექნიკური შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას, რათა ოპერატიულად უზრუნველყოს ტყის ფიტო და ენტო მავნებლების კერების დროული გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება თურქეთთან ტყის-მავნებელ დაავადებათა დროულად აღმოჩენისა და პრევენციისათვის.

სააგენტოსთვის პრიორიტეტულია **შეისწავლოს რეგიონის ბუნებრივ ტყეებში ინვაზიური სახეობების გავრცელება** და მოახდინოს იმ რისკების იდენტიფიცირება, რაც ამ სახეობათა შემოღწევითა და უკონტროლო გავრცელებით შეიძლება დადგეს.

ტყის მოვლის ეფექტური სისტემის შექმნა განაპირობებს ტყის მასივების სტრუქტურული და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებას და ზრდას. სააგენტოსთვის პირველი რიგის ამოცანაა **ტყის სანიტარული დაცვის ღონისძიებების განხორციელება**, რაც თავის მხრივ გულისხმობს მოვლითი, მათ შორის **სანიტარული ჭრების მიზანმიმართულ განხორციელებას**. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, ორგანიზაციის მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული პრობლემები გარკვეულ წინააღმდეგობებს უქმნის სააგენტოს შესაბამისი ქმედებების განხორციელების პროცესში.

შესაბამისად, სამმართველოსა და სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ტყის მოვლა-აღდგენის არსებული რეგულაციების კორექტირებაში და განახლებული კანონმდებლობის შემუშავებაში. შესაბამისი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით სააგენტო პერიოდულად უზრუნველყოფს სანიტარული ჭრების გეგმის შედგენასა და თანმიმდევრულ განხორციელებას.

DRAFT

## სტრატეგიული მიზანი 2 - მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და სერვისების განვითარება

ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სატყეო ადმინისტრაციის სამართლებრივი და ორგანიზაციული მოწყობის რეფორმირება, რასაც ეროვნული სატყეო კონცეფცია ითვალისწინებს. სატყეო სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს რეფორმირების შემდეგ აჭარის სატყეო სააგენტომ უნდა უზრუნველყოს თავისი სერვისებისა და შესაბამისი საოპერაციო პროცედურების განახლება და მისადაგება ახალ კანონმდებლობასთან.

აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ხელმძღვანელები გარემოსა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად ჩართულნი იქნებიან ეროვნულ დონეზე სატყეო სექტორის სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტების შემუშავების ღონისძიებებსა და აქტივობებში და, ასევე, მონაწილეობას მიიღებენ სატყეო სექტორის რეფორმის სამოქმედო გეგმის შედგენაში. ძირეული ცვლილებებისათვის მოსამზადებლად 2016-2017 წლებში სააგენტო ასევე უზრუნველყოფს სიღრმისეული კვლევისა და ანალიზის განხორციელებას, რათა შეიმუშავოს მომსახურების მიწოდებისათვის ყველაზე ოპტიმალური და ხარჯთეფექტიანი მოდელი.

### **სტრატეგიული ამოცანა 2.1 - ტყის რესურსების მომხმარებელთათვის მომსახურების მიწოდების ეფექტიანი მოდელის შემუშავება**

შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში. როგორც ეროვნული სატყეო კონცეფცია ითვალისწინებს, „სატყეო სექტორის რეფორმირების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ისეთი ახალი ინსტიტუციები, რომლებსაც ექნებათ სატყეო მეურნეობის წარმოების, მათ შორის, ინფრასტრუქტურის შექმნის, სამონადირეო მეურნეობის წარმოების, ხეცის დამზადებისა და ტყის სხვა რესურსებით სარგებლობის, ტყის რესურსების რეალიზაციის, ტურისტული და სხვა სახის მომსახურების გაწევის უფლებამოსილება, აგრეთვე შემოსავლების რეინვესტიციის უფლება“. ამასთან, მართვის ორგანო უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. სექტორული კანონმდებლობის რეფორმირების შემდეგ, აჭარის სატყეო სააგენტო განახორციელებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესაბამისად სატყეო-სამეურნეო ფუნქციის მქონე სათანადო მოდელის დანერგვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- მოსახლეობის შეშითა და სამასალე მერქნით უზრუნველყოფის ეფექტიანი სერვისის მიწოდება საქართველოს განახლებული სატყეო კანონმდებლობის შესაბამისად

- ტყის რესურსების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად ინოვაციური პროექტების განხორციელება, სათანადო კვლევის, ასევე, ეკონომიკური და ეკოლოგიური დასაბუთების საფუძველზე
- რეგიონის ტყეებში სარეკრეაციო ზონების მოწყობა ან/და მათი განვითარების ხელშეწყობა
- სამეწარმეო მიზნებისათვის არამერქნული რესურსების გამოყენების რეგულირება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად
- სატყეო მეთესლეობისა და სანერგე მეურნეობის განვითარება და ნერგების მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის

2016-2017 წლებში სააგენტო უზრუნველყოფს ბაზრის, ტყის რესურსების მომხმარებლების, სატყეო სექტორში მოქმედი სუბიექტებისა და ორგანიზაციების მატერიალურ ტექნიკური რესურსების, ასევე, სერვისებზე ორიენტირებულ სატყეო ადმინისტრაციაზე გადასვლისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა-შეფასებას, რათა სანდო მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, სხვადასხვა სცენარების შედარებითი ანალიზით განსაზღვროს მომხმარებლებისათვის სერვისის მიწოდების ყველაზე ოპტიმალური, ეფექტიანი და ეფექტური მოდელი და, ასევე, დაადგინოს იმ ხარჯების სავარაუდო მოცულობა, რომელთა გაწევაც სააგენტოსა და რეგიონის მთავრობას მოუხდება ახალი მოდელის დანერგვის შემთხვევაში. კვლევის განხორციელება, ასევე, მისი შედეგების განხილვა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით წარიმართება, რათა ყველას მიეცეს შესაძლებლობა, თავისი მოსაზრებები და წინადადებები წარუდგინონ სააგენტოსა და სამმართველოს ხელმძღვანელობას სერვისების ოპტიმალური მოდელის შერჩევას.

**სტრატეგიული ამოცანა 2.2 - ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა სათანადო მომსახურების განვითარებით**

აჭარის სატყეო სააგენტოს სერვისების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იგეგმება სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც შეისწავლის, დაამუშავებს მონაცემებს და მოამზადებს ინფორმაციას სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული ეკონომიკური, სარეკრეაციო და სხვა შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული სამსახურის კომპეტენციაში ასევე შევა ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების კონცეპციების და პროექტების შემუშავება. ასევე იგეგმება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევა და სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წინადადებების მომზადება სერვისების შემდგომი დახვეწა-გაუმჯობესებისათვის.

სერვისების მიწოდების შემუშავებული მოდელის შესაბამისად მომხმარებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად, სააგენტო შექმნის 6 სერვიცენტრს სადაც მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ სააგენტოს ყველა მომსახურება. სატყეო სააგენტოს სერვის ცენტრები განთავსდება ქალაქ ბათუმსა და მუნიციპალურ სატყეო ადმინისტრაციებში. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სააგენტო უზრუნველყოფს მომსახურების გაწევის ოპტიმიზირებული და ხარჯთეფექტიანი სამუშაო პროცესებისა და მათი შესაბამისი პროცედურების მომზადებას, ასევე, მენეჯერებისა და თანამშრომლებისათვის



სტანდარტული საოპერაციო ინსტრუქციების გაწერას. იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციული საქმიანობისა და მომსახურების სრულყოფა მუდმივი, მიმდინარე პროცესია, ინსტიტუციონალიზირებული პრაქტიკის შესაბამისად სააგენტო პერიოდულად, წელიწადში არანაკლებ ერთხელ გაანალიზებს თავის სამუშაო პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროცესებისა და პროცედურების ოპტიმიზაციას სერვისების ხარისხისა და სისწრაფის გასაზრდელად და/ან საოპერაციო ხარჯების შესამცირებლად.

DRAFT

### სტრატეგიული მიზანი 3 - ცნობიერების ამაღლება და ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თემების წარმომადგენლები კარგად აცნობიერებენ ტყეების სხვადასხვა ფუნქციურ დანიშნულებას, მათ შორის, ტყის დამცავ ფუნქციას, საზოგადოება ნაკლებ პასუხისმგებლობას ავლენს ტყის დაცვისა და მოვლის საკითხების მიმართ, რაც, ძირითადად, განპირობებულია მოსახლეობის რთული სოციალური და მატერიალური მდგომარეობით, ასევე, ტყითსარგებლობის წესების არცოდნითა და უგულებელყოფით.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სააგენტოს პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს კომუნიკაცია მოსახლეობასთან მოკლე და/ან საშუალოვადიანი სამოქმედო პრიორიტეტების გამოსავლენად საზოგადოების მონაწილეობის დონე სასურველია კიდევ უფრო ამაღლდეს.

იმისათვის, რომ რეგიონის ტყეებზე შემცირდეს მოსახლეობის ნეგატიური ზემოქმედების შედეგები და საზოგადოება უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების გამოყენებას, სააგენტო მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში გეგმავს ტყეების დაცვისა და მოვლა-აღდგენის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ცალკეულ მიზნობრივ ჯგუფებზე წარმართული კამპანიების მეშვეობით, ასევე, ქმედითი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას, რაც საზოგადოებას მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას სექტორში მიმდინარე რეფორმების შესახებ, და მეორეს მხრივ, საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემს თავისი მოსაზრებები და წინადადებები განსახილველად წარუდგინონ გადაწყვეტილებების მიმღებებს, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე.

#### **სტრატეგიული ამოცანა 3.1 - სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობისა და ტყის რესურსების მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება**

ტყეების მნიშვნელობისა და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების უმთავრესი წინაპირობა სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციის გაძლიერება და მოსახლეობასთან რეგულარული კომუნიკაციის საშუალებების და არხების შექმნაა. ეს, თავის მხრივ, სააგენტოსაგან მოითხოვს საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებას, რაც სააგენტოს შესაძლებლობას მისცემს განსაზღვროს:

- თავისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო აქტივობების ძირითადი სამიზნე ჯგუფები
- თითოეული სამიზნე ჯგუფის საინფორმაციო საჭიროებები
- ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხები და საშუალებები
- დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის მექანიზმები
- შეადგინოს საკომუნიკაციო გეგმა, ასევე, ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც იგი შეაფასებს მოსახლეობის და ცალკეული სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლების მხრივ მიღწეულ პროგრესს.

ზოგადად, საკომუნიკაციო კამპანიის მთავარი დანიშნულება **ტყითსარგებლობის წესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება** და შესაბამისი სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობაა. ამასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მოსახლეობასთან უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა უკიდურესად მნიშვნელოვანია სააგენტოს მომსახურების ფორმებისა და შინაარსის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით.

შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტო ფოკუსირებული იქნება სხვა საჯარო ორგანოებთან და გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობის განვითარებაზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს უკეთესი კოორდინაცია ცალკეული ინიციატივების განხორციელებაში და სააგენტოსთვის დახმარების გაწევა სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში. ამ მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დონორთა განგრძობადი ინტერესისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა, გამომდინარე იქედან, რომ დაგეგმილი ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება აღემატება სააგენტოს ადამიანურ და ფინანსურ შესაძლებლობებს.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტოსათვის ასევე პრიორიტეტული იქნება **პარტნიორული ურთიერთობების დამყარება რეგიონში მოქმედ ბიზნესორგანიზაციებთან**, რომლებიც ტყის მომიჯნავე ტერიტორიებზე საინვესტიციო პროექტებს ახორციელებენ ჰიდროენერგეტიკის ან სხვა დარგებში. ამ პარტნიორობის მთავარი ამოცანაა, ბიზნესს თვალსაჩინოდ წარუდგინონ ის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი, რაც ცალკეული გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებით შეიძლება მიიღონ თავისი ბიზნესის დაუბრკოლებლად წარსამართად.

### **სტრატეგიული ამოცანა 3.2 - სატყეო სექტორში განათლების ხელშეწყობა**

როგორც ინსტიტუციური შეფასების ეტაპზე გამოვლინდა, ამჟამად განათლების სისტემა სააგენტოს ვერ ამარაგებს მეტყვევების პროფესიული კადრებით, რასაც სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობაზე უარყოფითი ზეგავლენა აქვს. ამდენად, სააგენტო, იმის გარდა, რომ კვალიფიკაციის ამაღლების ცალკეულ პროგრამებსა და შესაძლებლობებს შესთავაზებს თავის თანამშრომლებს და სტაჟირების ორგანიზებულ სისტემას დანერგავს სააგენტოში ახალგაზრდა სპეციალისტების მოსაზიდად, გეგმავს სატყეო სექტორთან დაკავშირებით ლექციებისა და სემინარების ორგანიზებას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და სტუდენტებისა და მოსწავლეების ჩართვას სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში.

სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა მეტყვევ-პროფესიონალების საზღვარგარეთ განათლებისა და სწავლების პროგრამების მხარდაჭერა, რამაც სააგენტო საშუალოვადიან პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრებით სატყეო სექტორში მიმდინარე თაობათა ცვლის უარყოფითი ეფექტების აღმოსაფხვრელად. ასევე განიხილება უცხოეული კონსულტანტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმართული სასწავლო კურსების ხარისხის ასამაღლებლად და პედაგოგთა გადასამზადებლად.

## სტრატეგიული მიზანი 4 - ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება

სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა აჭარის სატყეო სააგენტოს ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება. სააგენტოს ორგანიზაციული ეფექტიანობის განვითარებას უკიდურესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სააგენტო წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სექტორში მოქმედ მთვარ მოთამაშეს. აქედან გამომდინარე რეგიონში სატყეო სექტორის მდგრადი განვითარება დიდ წილად სააგენტოს ხელმძღვანელობით, კოორდინაციით უნდა განხორციელდეს. მართვის თანამედროვე მეთოდების, ინსტრუმენტების და მიდგომების დანერგვა, ორგანიზაციული სტრუქტურისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების სტრატეგიაში დასახულ ამოცანებთან ადაპტირება, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და ერთიანი სისტემის დანერგვა, და ასევე ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება ორგანიზაციულად გააძლიერებს სააგენტოს და ხელს შეუწყობს დასახული მისიის ეფექტიან შესრულებას. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს სერვისების მიწოდებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ერთეულების შექმნასა და შედეგზე ორიენტირებულ ფუნქციონირებას.

### **სტრატეგიული ამოცანა 4.1 - ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა**

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა სააგენტოსთვის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ის საკუთარ თავში მოიცავს სხვადასხვა ტიპის მართვის ინსტრუმენტებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებას. 2015-2019 წლების განმავლობაში ადამიანურის რესურსების მართვის სისტემის განვითარების მხრივ სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზაციული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება-ფორმალიზაცია, რაც გულისხმობს:
  - ადამიანური რესურსების მართვის შიდა ნორმატიული დოკუმენტის (პოლიტიკის დოკუმენტის) შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავს პერსონალთან მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ფორმებს და მეთოდებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებით ორგანიზაციაში დაინერგება ადამიანურის რესურსების მართვის სფეროში ერთიანი ჩარჩო და პროცედურები. ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზაციული პოლიტიკისა და პროცედურების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი იქნება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები.
- ბ) თანამშრომელთა პერიოდული შეფასების და წახალისების სისტემების შემუშავება და დანერგვა, რაც გულისხმობს:
  - სააგენტოს ყველა პოზიციისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება და დამტკიცება;
  - თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ერთიანი სისტემის შექმნა და ამოქმედება;

- თანამშრომელთა საქმიანობის პერიოდული შეფასების საფუძველზე პერსონალის წახალისების მექანიზმების ამოქმედება სააგენტოს საკადრო პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

გ) სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის ეფექტური სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს:

- დარგში გამოცდილი და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის შესამცირებლად შესაბამისი სპეციალობის მქონე სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების სტაჟირებისა და პრაქტიკის ეფექტური მექანიზმის დანერგვა;

დ) თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და გადამზადების სისტემების შემუშავება და ამოქმედება. აღნიშნული სისტემის ეფექტიანი დანერგვისათვის სააგენტო განახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების საჭიროებების განსაზღვრა;
- სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა;
- პროცესის განხორციელება და სწავლების მეთოდების შერჩევა;
- სწავლების შედეგების შეფასება.

ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელების პარალელურად აჭარის სატყეო სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და საქართველოს განათლების სამინისტროსთან სატყეო სექტორში პროფესიული გადამზადების ცენტრის შექმნასა და მეტყევეების სერტიფიცირების სისტემის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად.

ე) ადამიანური რესურსების მართვის პროგრამის დანერგვა, რაც გულისხმობს:

- პერსონალის მართვის პროცედურებთან დაკავშირებული სამუშაოების სირთულისა და დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავებას და ამოქმედებას. ავტომატიზებულ სისტემაში ინტეგრირებული იქნება შემდეგი 6 მოდული:
  - 1) ორგანიზაციული მოდული;
  - 2) თანამშრომელთა დასწრების მოდული;
  - 3) ანაზღაურების მოდული;
  - 4) თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მოდული;
  - 5) სელექციის მოდული; და
  - 6) სწავლებისა და განვითარების მართვის მოდული.

## **სტრატეგიული ამოცანა 4.2 - სტრატეგიასთან ადაპტირებული ორგანიზაციული სტრუქტურის ამოქმედება**

სააგენტოს საშუალო ვადიანი მისიისა და სტრატეგიული ამოცანების ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია სტრატეგიასთან ადაპტირებული ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და ამოქმედება. ამ მიმართულებით აუცილებელია მთელი რიგი შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მათ შორის, ორგანიზაციის დებულების ადაპტირება სააგენტოს სტრატეგიასთან. 2015-2019 წლებში სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ა) ორგანიზაციის სტრუქტურის გამართვა, რაც გულისხმობს:

- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზს და ახალი ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე რეორგანიზაციის გეგმის მომზადება/დამტკიცებას;
- სააგენტოს სტრატეგიიდან გამომდინარე ფუნქციების მიხედვით სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციას;
- ახალი ფუნქციებიდან გამომდინარე სტრუქტურული ერთეულების შექმნას.

ბ) ახალი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სააგენტოს სამტატო განრიგის განახლება და შესაბამისი საბიუჯეტო პროცედურების განხორციელება.

გ) ტერიტორიული ადმინისტრაციების რეორგანიზაცია ახალი სერვისებისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით.

დ) შიდა მარეგულირებელი ნორმატიული საფუძვლების განახლება, რაც გულისხმობს სააგენტოს დებულების და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტების სტრატეგიული ამოცანებისთვის მისადაგებას, ასევე, ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შიდა ნორმატიული საფუძვლის შექმნას.

#### **სტრატეგიული ამოცანა 4.3 - ორგანიზაციული მართვის თანამედროვე მიდგომების დანერგვა**

ორგანიზაციის მისიისა და სტრატეგიული ამოცანების ეფექტური და ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სააგენტო მომდევნო საშუალო ვადიანი პერიოდის განმავლობაში დანერგავს ორგანიზაციული მართვის თანამედროვე მიდგომებსა და ინსტრუმენტებს. სააგენტოში შეიქმნება ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს ცენტრალურ აპარატს რეალურ დროში გაცვალოს ინფორმაცია სააგენტოს სისტემაში შემავალ ყველა სტრუქტურულ/ტერიტორიულ ერთეულთან და გააუმჯობესოს საქმიანობის კოორდინაცია. ელექტრონული სისტემის შემუშავება ასევე ხელს შეუწყობს სააგენტოს მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას. სააგენტოს ელექტრონული მართვის სისტემაში ასევე იგეგმება გაყიდვებისა და აღრიცხვის ერთიანი ერთიანი პროგრამული მოდულის ინტეგრირება.

სააგენტო ასევე იმუშავებს ორგანიზაციის ვებ გვერდის გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს ვიზუალურ და ფუნქციონალურ დახვეწას და სააგენტოს ახალ ფუნქციონალური დატვირთვისთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე აჭარის ა.რ. მთავრობის ერთიან ვებ-პორტალთან ინტეგრირებას.

საშუალო ვადიან პერიოდში, სააგენტო მიუერთდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიან ელექტრონულ სისტემას და ორგანიზაციაში დაინერგება ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის პროგრამული უზრუნველყოფა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტანდარტთან შესაბამისობაში.

გარდა ელექტრონული სისტემების გაუმჯობესებისა, სააგენტო ასევე დანერგავს მონიტორინგისა და შედეგების ანგარიშების ერთიან სისტემას, რაც განაპირობებს სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას და ხელს შეუწყობს შედეგებზე ორიენტირებული

მართვის პრინციპების დანერგვას. მონიტორინგისა და შედეგების ანგარიშების სისტემა ორიენტირებული იქნება სააგენტოს საშუალო ვადიანი სტრატეგიის განხორციელების პროგრესის შეფასებაზე და ასევე სხვა დაგეგმვითი დოკუმენტების განხორციელების ანგარიშებაზე.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სააგენტოს განახლებული ფუნქციონალური დატვირთვა დაინტერესებული მხარეებისთვის მომსახურების გაწევას და სატყეო-სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება, სააგენტო განხორციელებს ბრენდინგს (შემუშავდება ორგანიზაციის განახლებული ლოგოტიპი, სლოგანი და შესაბამისი ბრენდ-ბუქი) და შექმნის სააგენტოს ბრენდისთვის აუცილებელ მასალებს.

2015-2019 წლების ორგანიზაციული სტრატეგიის შედგენის შედეგად აჭარის სატყეო სააგენტო შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების სათანადო ინსტრუმენტს, რომლითაც გათვალისწინებული კრიტერიუმები და საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები (KPI) დაეხმარება სააგენტოს პერიოდულად გაზომოს და შეაფასოს სატყეო სექტორში ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვის მხრივ მიღწეული პროგრესი.

ასევე, სააგენტოში დაიწყება ISO სერტიფიცირების დანერგვის პროცესი რაც გულისხმობს ორგანიზაციული მართვის პროცესებისა და პროცედურების სტანდარტიზაციას და ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტების მართვის სტანდარტ ISO 9001-თან შესატყვისობაში მოყვანას. 2017 წლიდან სააგენტო დაიწყებს აღნიშნული მართვის სტანდარტის დანერგვას.

#### **სტრატეგიული ამოცანა 4.4 - ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება**

ახალი ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე სატყეო სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სატყეო ინფრასტრუქტურის განვითარება ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევაში სააგენტოს მისიის და ცალკეული სტრატეგიული ამოცანების განხორციელება შეუძლებელი გახდება. ამ მიმართულებით სააგენტოს პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- ა) ყოველწლიური საოპერაციო გეგმის საფუძველზე საგზაო და ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ბ) სატყეო მეურნეობის ეფექტიანი მართვისათვის ტექნიკითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს:
  - სატყეო-სამეურნეო საქმიანობისთვის აუცილებელი ტექნიკის შესყიდვას;
  - სატყეო სააგენტოს ცენტრალური ადმინისტრაციისა და ტერიტორიული ერთეულების, ასევე მეტყევე სპეციალისტების უზრუნველყოფა სპეციალური აღჭურვილობით და სატრანსპორტო საშუალებებით.
- გ) სასაწყობე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გულისხმობს:
  - ტყის ფონდის ან/და მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა სასაწყობე მეურნეობის გასამართად. სატყეო სააგენტოს სასაწყობე

მეურნეობა გამოყენებული იქნება ძირითადად მერქნული რესურსების (როგორც საშეშე, ასევე სამასალე) შესანახად და დაინტერესებული მხარეებისთვის სერვისის მისაწოდებლად.

დ) ლაბორატორიის გაძლიერება შესაბამისი აღჭურვილობითა და სპეც-ტექნიკით.

ე) ტყის ფიზიკური დაცვის მიზნით განსაზღვრულ ადგილებში ხერგილებისა და მეტყევის სახლების (კორდონების) მოწყობა.


ვ) თანამედროვე სტანდარტების სანერგე და სათესლე მეურნეობების ინფრასტრუქტურის განვითარება.

ზ) მუნიციპალურ სატყეო ადმინისტრაციებსა და ასევე ქ. ბათუმში მომხმარებელთა მომსახურების სერვისცენტრების ინფრასტრუქტურის მოწყობა და საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს სააგენტოს მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდება მომხმარებლებისთვის.


DRAFT



## აჭარის სატყეო სააგენტოს სტრატეგიული ჩარჩო



## სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ორგანიგრამა



მუნიციპალური სატყეო ადმინისტრაციების სტრუქტურა

